# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 5 თებერვალი, 2009 წელი.

№ 21 (6122)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## საზოგადოება: ხალხი თუ... ბრბო?



5

## მემორანდუმი თურმე კომერციული საიდუმლოება ყოფილა, ანუ რატომ გაიყიდა „ენგურჰესი“

2



## ღმერთმა მშვიდობით ამგზავროს...

გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესსმა ილია მეორემ გერმანიაში გამგზავრებამდე თბილისის აეროპორტში ჟურნალისტებთან მცირე კომენტარი გააკეთა.

უწმინდესმა მრევლს მოუწოდა, გააძლიერონ ლოცვები და აღნიშნა, რომ საქართველოში მალე დაბრუნდება. პატრიარქმა სრულიად საქართველო დალოცა.

აეროპორტში გუშინ სასულიერო პირები, მრევლი, საზოგადოების წარმომადგენლები, მღვდელმთავრები, აგრეთვე, თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი მივიდნენ, რათა უწმინდესი გერმანიაში გაეცილებინათ.

პატრიარქს გერმანიაში 10-კაციანი დელეგაცია გაჰყვება. უწმინდესი სამედიცინო გამოკვლევებს იმ კლინიკაში ჩაიტარებს, სადაც ნოემბერში გულზე სტენდირება გაუკეთდა.

ჯერ უცნობია დრო, თუ რამდენი ხნით დარჩება პატრიარქი გერმანიაში.

## როგორ უპასუხა უგულავამ უკმაყოფილო მგზავრებს



3

„აპარატში ხურდას მანამდე არ ჩავყრი, ვიდრე სააკაშვილს არ ჩამოვაგდებ“

## ორი მწარე ხუმრობა ამდენივე მკრეხელობის გამო,



6

მას შემდეგ, რაც ქართულ მასმედიას ინდაურმა „გადაუფრინა“



2

## რას ჰპირდება საქართველოს ახალი პრემიერი?

ნიკა გილაურის პროგრამა ძველის იდენტურია

## როცა მწერალი მომავალს ეკუთვნის...



11

ინფორმაცია

## ქუთაისელები იცურავებენ, თუ აუზში წყალს ჩაუსხამენ



**გუშინ** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქუთაისში იმყოფებოდა.

პრეზიდენტმა ავტოქარხნის დასახლებაში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის გვერდით ის ტერიტორია დაათვალიერა, რომელიც ქუთაისის თვითმმართველობამ სპორტული კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყო.

ჩვენ ვიწყებთ ქუთაისში გრანდიოზული სპორტული კომპლექსის მშენებლობას. ქუთაისს ერთ წელიწადში ყველაზე დიდი და თანამედროვე საცურაო აუზი ექნება, — განაცხადა ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა მონაწილეობა მიიღო მშენებლობის დაწყების ცერემონიაში, რომლის დროსაც სიმბოლურად ბალავერი გაჭრა.

სპორტული კომპლექსის მშენებლობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტი 4 მილიონ ლარს დახარჯავს. კომპლექსი 2010 წლისთვის უნდა გაიხსნას.

## რატომ ტოვებს დოლიძე ეუთოში ელჩის თანამდებობას

**ვიქტორ დოლიძემ** ეუთოში საქართველოს ელჩის თანამდებობა დატოვა.

როგორც ვიქტორ დოლიძემ განაცხადა, გადადგომის შესახებ განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გუშინ დაწერა. მისივე თქმით, განცხადებაში გადადგომის მიზეზების შესახებ არ უსაუბრია.

— ეს არის ტექნიკური ხასიათის განცხადება; სულ ორი წინადადებით შემოვიფარგლე. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს ვთხოვე, მიშუამდგომლოს პრეზიდენტთან, რათა მან მომცეს უფლება, დავტოვო ჩემს მიერ დაკავებული თანამდებობა, — განმარტა დოლიძემ.

რაც შეეხება ჩემი გადადგომის მიზეზებს, ამის შესახებ ვრცლად თბილისში დაბრუნების შემდეგ ვისაუბრებ, — განაცხადა დოლიძემ და აღნიშნა, რომ თბილისში მომავალი კვირის დასაწყისში ჩამოვა.

ამასთან, ვიქტორ დილიძე პოლიტიკაში დაბრუნების შესაძლებლობას არ გამორიცხავს, თუმცა დეტალებს არ აკონკრეტებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ეუთოსა და ვენაში განთავსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს უკვე ყოფილი მუდმივი წარმომადგენელი ვიქტორ დოლიძე ირაკლი ალასანიას მომავალი გუნდის წევრად მოიაზრება.

## მთავრობას რომ ესაუბრებოდნენ, რა შედეგი გამოიღო?

**იშვიათი** გამონაკლისის გარდა, რუსეთში ვერ იპოვეს ქართველები, რომლებიც თავის სამშობლოს დაუპირისპირდებოდნენ.

ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთში ქართველთა კავშირის ყრილობასთან დაკავშირებით გააკეთა.

სააკაშვილის თქმით, 310-კაციან დარბაზში მხოლოდ 191 ადამიანი შეკრიბეს და ხალხის ჩამოყვანა კრასნოდარიდანაც კი მოუხდათ.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, მათ, პრაქტიკულად, ვერ იპოვეს ქართველები, რომლებიც თავის ქვეყანას დაუპირისპირდებოდნენ. ეს დღევანდელ რუსეთში სამოქალაქო გმირობის ტოლფასია, — აღნიშნა სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტსა და მთავრობას მოუწოდა, რომ თუ რუსეთს საქართველოსთან საუბარი სურს, ქვეყნის არჩეულ მთავრობას უნდა ესაუბროს.

ინტერპრესნიუსი

მთავრობა

# რას ჰპირდება საქართველოს ახალი პრემიერი?

**ახალი პრემიერ-მინისტრის სამოქმედო გეგმაში თითქმის არაფერი იცვლება, მათ შორის, სახელიც კი — „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“. მიზანი იგივე რჩება, მაგრამ გამოიკვეთა ორი ახალი გამოწვევა: ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა და მსოფლიო კრიზისი.**

**გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე ნიკა გილაურმა სამოქმედო პროექტი და საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობა წარადგინა. კრიტიკული აზრი დეპუტატ გურამ ჩახვაძის გარდა არავის გამოუხატავს და შესაბამისად, პროგრამას მხოლოდ ერთი წინააღმდეგი ჰყავდა.**



## ნიკა გილაურის პროგრამა ძველის იდენტურია

პრემიერ-მინისტრის თქმით, ქვეყნის მთავარი ამოცანა **უმუშევრობის პრობლემის გადაჭრაა.** ამისათვის კი რამდენიმე პირობა არის საჭირო:

**— ინფრასტრუქტურის დაფინანსება. ინვესტორების მოძიება, რომლებიც დაასაქმებენ ადგილობრივ მოსახლეობას;**

**— უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რომელიც ასევე ადგილზე შექმნის სამუშაო ადგილებს და ხალხს დაასაქმებს;**

**— იაფი კრედიტის პროგრამა.**

პრემიერ-მინისტრმა გამოყო სტიმულირების პაკეტი, რომელიც 2,2 მილიარდი ლარითა და 500 მილიონი ლარის დონორთა დახმარებით განისაზღვრა. ამ პაკეტით შესაძლებელი გახდება გადასახადების შემცირება, ორმაგი დაბეგვრის სისტემის თავიდან აცილება და თავისუფალი ეკონომიკური ვაჭრობის ხელშეწყობა.

ნიკა გილაურის გათვლებით, ამ წლის ნოემბერში სიღარიბის ზღვარს მიღმა დარჩენილი ოჯახების დახმარების პაკეტი გაიზრდება და დამატებით კიდევ 900 ათასამდე მოქალაქე დახმარებას მიიღებს დაზღვევის პაკეტთან ერთად.

გილაურმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტის პირდაპირი დავალება არის სადაზღვევო პაკეტის პირობების გაუმჯობესება და სრულყოფა. რაც შეეხება ძველ დევნილებს, მათთვის იგივე საცხოვრებელი პირობების შექმნა იგეგმება, როგორც ახალ დევნილებს აქვთ.

პრემიერ-მინისტრმა უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მთელი საქართველოს მასშტაბით გზების მშენებლობა მიიჩნია. მისი თქმით, საგზაო დეპარტამენტს 520 მილიონი ლარი გამოეყო. მშენებლობა კი ორ წელიწადში უნდა დამთავრდეს.

ნიკა გილაურმა ენერგეტიკაზე სიამაყით საუბარს გვერდი ვერ აუარა და აღნიშნა, რომ ამ ზამთარს რეგიონში თითქმის ყველა ქვეყანას ენერგეტიკული პრობლემა შეექმნა, საქართველოს გარდა. ენერგომომარაგების პრობლემა უახლოეს მომავალში საერთოდ აღმოიფხვრება, — დასძინა მან.

პროგრამაში ისევ მნიშვნელოვანია თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა, სოფლის მეურნეობის ინვესტირების განახლება, განათლებაში მიმდინარე რეფორმების გაგრძელება. დემოკრატიზაციის „ახალი ტალღა“ გადაუვლის ქვეყანას, რაც აისახება საკუთრების უფლებების დაცვაში, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვაში, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმაში, პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში; ასევე იგეგმება ანტიკორუფციული სტრატეგიის რეალიზაცია.

და ბოლოს, კვლავ პრიორიტეტია ნატოსთან ინტეგრაცია.

**გილაურმა თქვა, რომ დონორებთან 1,3 მილიარდ დოლარზე ხელშეკრულება დადებულია და დიდი ნაწილი უკვე მიღებულია. ახლა მიმდინარეობს მუშაობა 2,4 მილიარდი დოლარის მიღებაზე, რაც 4-5 თვის განმავლობაში მოგვარდება. საქართველოს ეკონომიკა რეგიონის ქვეყნების ეკონომიკასთან შედარებით უკეთესია სწორედ იმიტომ, რომ პრობლემების დაძლევაში დონორი ორგანიზაციების დახმარება გვიწყობს ხელს, — აღნიშნა პრემიერმა.**

თეა მოსია

შეკითხვები პასუხს ითხოვს

## მემორანდუმი თურმე კომერციული საიდუმლოება ყოფილა, ანუ რატომ გაიყიდა „ენგურჰესი“

**„ენგურჰესთან“ დაკავშირებით რუსულ კომპანია „რაო ეესთან“ გაფორმებულ მემორანდუმს პოლიტიკოსებს მხოლოდ ენერგეტიკის სამინისტროში „წააკითხებენ“.**

საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ოპოზიციონერმა დეპუტატმა გურამ ჩახვაძემ კიდევ ერთხელ დასვა მემორანდუმის საკითხი და ოპოზიციის წერილზე ენერგეტიკის სამინისტროს პასუხი კიდევ ერთხელ გააპროტესტა.

კერძოდ, საპარლამენტო ოპოზიციამ ენერგეტიკის სამინისტროსგან მემორანდუმი გამოითხოვა, საიდანაც მიიღო პასუხი, რომ მემორანდუმი კომერციული საიდუმლოებაა.

სხდომის დასრულების შემდეგ კი, ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა განუმარტა, რომ ოპოზიციას მემორანდუმის გაცნობა არ უთხოვია.



არავინ არ მოსულა და არ უთქვამს, წამაკითხეო, მათ გამოითხოვეს დოკუმენტი, რაც არ მოხდება. ადგილზე თუ მოვლენ, გავაცნობთ, — აღნიშნა მინისტრმა.

მისივე განმარტებით, მემორანდუმი საჯარო ინფორმაცია არ არის და, შესაბამისად, პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, სამინისტროში მისულ ჟურნალისტებს მას არ გააცნობენ.

განცხადება

## დავიცვათ კოლეგები სახელმწიფოს მიერ ტოტალური შეტევისგან

**საქართველოს რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტები მათ კოლეგებზე ზეწოლასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებენ.**

განცხადებაში, სადაც 17 სხვადასხვა რეგიონის ჟურნალისტი აწერს ხელს, აღნიშნულია, რომ საქართველოს რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტები კატეგორიულად გმობენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანტონ ხუნდაძის მიერ გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარის ფაქტებს, ასევე შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტის ნათია როყვას დაკავების ფაქტს.

„ვაცხადებთ, რომ რეგიონებში დამოუკიდებელ ჟურნალისტებზე ტოტალური შეტევა მიდის. ეს ტერორი, რომელსაც, ძირითადად, ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნები და სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელი პირები ახორციელებენ, განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა, რომ ვწერთ და ვსაუბრობთ იმ ფაქტებზე, რომლის გაშუქებასაც ცენტრალური ელექტრონული საშუალებები ვერ ბედავენ.

ვაცნობიერებთ რა ხელისუფლების დამოკიდებულებას და პოლიტიკურ ნებას ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის და თავისუფალი სიტყვის ხელყოფის ფაქტების მიმართ, მიგვაჩნია, რომ თუ ჩვენ მიუკერძოებლად მუშაობას გავაგრძელებთ, კიდევ უფრო მეტი სიმწვავის პრობლემები გვექნება, — ნათქვამია განცხადებაში.

ამავე განცხადების მიხედვით, ფაქტია ისიც, რომ ადგილობრივი თუ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები, ძირითადად, მხოლოდ უფლებათა დარღვევის ფაქტების დოკუმენტირებას ახდენენ, რითაც, სამწუხაროდ, არაფერი იცვლება.

ინტერპრესნიუსი

პასუხისმგებლობა

## როგორ გადავარჩინოთ ჩვენი ტყეები?

**სახელმწიფო ტყის მართვაში გარკვეულ პასუხისმგებლობას აიღებს.**

**ამის შესახებ რეგიონული მართვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრობის კანდიდატმა გოგა ხაჩიძემ განაცხადა.**

მისი თქმით, ეს პასუხისმგებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მოიშლება სათემო ტყის მოდელი, ან გრძელვადიანი ლიცენზიები, მაგრამ ტყის მართვის სტანდარტები სახელმწიფომ უნდა შექმნას.



მისივე თქმით, ეს რეფორმა საკმაოდ დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს საჭიროებს, რაც უკვე დაწყებულია.

გოგა ხაჩიძის ინფორმაციით, ორი საპილოტე მოდელი შეიქმნება ხარაგაულის რაიონში. კერძოდ, შეიქმნება სათემო და სახელმწიფო ტყის მოდელი.

მინისტრობის კანდიდატმა დასძინა, რომ ამასთან დაკავშირებით მუშაობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში აქტიურად გაგრძელდება.

ინტერპრესნიუსი

ვაი სიახლისგან!

# როგორ უპასუხა უგულავამ უკმაყოფილო მგზავრებს



## „აპარატში ხურდას იქამდე არ ჩავყრი, ვიდრე სააკაშვილს არ ჩამოვაგდებ“

**თბილისის მერიამ სამგზავრო ავტობუსებში სალარო-აპარატები დაამონტაჟა, რასაც მოქალაქეები ჯერ ვერ ეუგებიან. ეს სისტემა ევროპის ყველა ქვეყანაში პოპულარულია, დახვეწილია და ადამიანების მოქალაქეობრივ კულტურას გამოხატავს, მაგრამ ჩვენი ქალაქისათვის არ ივარგა. მგზავრთა გულისწყრომის მიზეზი ის არის, რომ თუ 5, 10, 20-თეთრიანი მონეტები არ აქვთ, ბილეთს ვერ აიღებენ, ვინაიდან 50-თეთრიან, ლარიან და ორლარიან მონეტებს აპარატი „არ ცნობს“, ხურდას ვერ აბრუნებს და ბილეთსაც არ იძლევა.**

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უგულავას უწყებამ ავტობუსში სტუდენტები გაამწესა, რომლებიც მგზავრებს ბილეთის მიღებისთვის საჭირო პროცედურებს ასწავლიან. ზოგი იგებს, ზოგი ვერა, მაგრამ თანდათან ისწავლიან. სტუდენტები მშვიდი ტონით უხსნიან მოქალაქეებს, რომ ბილეთი ამოსვლისთანავე უნდა აიღონ და მგზავრობის ბოლომდე თან ჰქონდეთ, რომ ხურდა ფული აუცილებლად უნდა აღმოაჩნდეთ და თადარიგი წინასწარ დაიჭირონ. ამ დღეებში უბილეთოდ ბევრი ჩაუშვეს, შემდეგში გაითვალისწინეთო, ათ დღეში ჩვენს ადგილს კონტროლიორები დაიკავებენ და 15 ლარით დაგაჯარიმებენო. ამ თანხის გადახდას არავინ აპირებს, განსაკუთრებით ახალგაზრდები იმუქრებიან, კონტროლიორს ერთი-ორჯერ მაგრად რომ მოხვდება, უგულავაც ჭკუას ისწავლისო.

მერიის მტკიცებით, ფულთან შეხება არც მძღოლს უნდა ჰქონდეს, არც კონტროლიორს და საკუთარი მგზავრობა მოქალაქეებმა სალარო-აპარატთან ანგარიშის გასწორებით უნდა უზრუნველყონ.

გლობალურ კრიზისს, ავტობუსით მგზავრობის კრიზისიც დაერთო. ვირის თქმისა არ იყოს, ქვა კლდიდან რომ ჩამოვარდება, ისიც ჩემი სათრევიაო, მგზავრები ამბობენ, რომ ვილაცამ სალარო-აპარატების ბიზნესი დაატრიალა, ახლა კიდევ ორლარიანი პლასტიკური ბარათები იყიდეთ და შეღავათით ისარგებლეთო. პირველი მგზავრობა — 40 თეთრი, მეორე — 30, ხოლო შემდეგ — 20-20 თეთრი მთელი დღის განმავლობაში. პლასტიკური ბარათები „საქართველოს ბანკს“ დაამზადებინეს და ამით მათ გაუმართეს ხელი. სტუდენტების გულიც მოიგეს, ივლიან ათი დღე წალმა-უკუღმა და 200 ლარს მიიღებენ.

ავტობუსის მძღოლებმაც დაისვენეს, არ მოუწევთ უფულოდ ჩასული მგზავრებთან აყალმაყალი, მუდმივად წუწუნი გეგმის შესრულებაზე და ა. შ. მათი ფუნქცია მშვიდი მგზავრობაა. თუმცა სიმშვიდე მაინც და მაინც არ ეტყობათ, სახელმწიფო რომ იზარალებს, მერე მიხვდება, რა შეცდომა დაუშვესო.

რატომ არის ეს შეცდომა, ამაზე არ ლაპარაკობენ. ალბათ, ფიქრობენ, ამ დღეებში იმდენი შეწუხებული და საყვედურით სავსე მგზავრი ჰყავთ წაყვანილ-წამოყვანილი, ერთ დღესაც მთავრობას თავისი უგერგილო ინიციატივები ბუმერანგივით მიუბრუნდებაო. მიშა არ მძულს, არამედ ისინი, ვისაც ის ისევ უყვარსო, — თქვა ერთმა ქალბატონმა, რომელსაც იმ წუთში მეორემ აუბა მხარი, — იმ აპარატში ხურდას იქამდე არ ჩავყრი, სანამ სააკაშვილს არ ჩამოვაგდებო. და გრძელდება ასე...

უგულავა კი რისი მერია, რომ პრინციპებს და ინიციატივებს უღალატოს. ისიც ადგა და გონიერი გამოსავალი გამონახა, ყველა გაჩერებასთან გადასახურდავებელ პუნქტებს გახსნის, რამდენიმე ადამიანიც დასაქმდება, უკმაყოფილო მგზავრებიც დაისვენებენ. ახლა მთავარია, აპარატები „ბრაკი“ არ იყოს და გამართულად იმუშაოს.

**ნია ფიფია**

უსტერეოტიპო ამერიკა

# ქარბორბალამ სილიკონის ველსაც გადაუარა...

**20 იანვარს, ამერიკის ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, ეკონომიკური ლაკმუსი — დოუ ჯონსის კოეფიციენტი უპრეცედენტოდ დაბალ ნიშნულზე დავარდა, თუმცა იმ დღეს ამ ფრიად არასასიამოვნო მოვლენას საერთაშორისო შოკი არ გამოუწვევია. მსოფლიოს თვალ-ყური პრეზიდენტად კურთხევის ცერემონიალზე იყო მიპყრობილი. ზეიმი დამთავრდა და ეკონომისტები, პოლიტიკოსები და უბრალო მოკვდავნი კვლავ ალაპარაკდნენ პროგრესირებად რეცესიაზე.**

ექსპერტების აზრით, ეკონომიკური დაღმასვლა ამერიკაში ჯერ კიდევ 2007 წლის დეკემბერში დაიწყო, ახლა ქვეყანა თავისუფალი ვარდნის ფაზაშია, ხოლო გაჭირვების პიკი ჯერ კიდევ წინაა. კრიზისის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ასახელებენ აბსოლუტურად არაფრით, ანუ არარსებული ვალუტითა და რესურსით „გამაგრებული“ არაადეკვატური კრედიტების გაცემის პრაქტიკას, როცა ადამიანის დიპლომი, სამსახური, ხელფასი, უძრავ-მოძრავი ქონება თუ სხვა რამ კაპიტალი არ შეესაბამებოდა ბანკიდან მოთხოვნილ სესხს. არადა ბანკები კლიენტებს მოთხოვნის გარეშეც გულუხვად და მაცდუნებლად ათასგვარ სესხებს სთავაზობდნენ. პარალელურად სახლის, ბინის, აგარაკის ფასები აბსოლუტურად არარეალურად იყო შეთხზულ-გაბერილი. დღეს კი აღნიშნავენ, რომ უძრავ ქონებაზე ფასები დიდი დეპრესიის პერიოდიდან მოყოლებული ასე დაბლა არასოდეს დავარდნილა და მათზე მსყიდველობითი მოთხოვნის უზრუნველყოფა მხოლოდ ისედაც დაბალ ფასებზე დამატებით 20-30-პროცენტიანი კლებითაა შესაძლებელი.




ალბერტ გორის ფილმის „უხერხული სიმართლე“ პლაკატი

საპნის ბუშტი, ისევე როგორც სხვა ბევრი რამ დედამიწის ზურგზე, ბოლოს და ბოლოს ფიზიკის კანონს დაემორჩილა და ხმაურიანად გასკდა. ამერიკაში არარსებული ფულით დღესვე (თუმცა უკვე აღარძ შეგიძლია იყიდო ის, რასაც თანხის თანდათან დაგროვებით მხოლოდ 1, 5, 10, 25 ან 40 წლის შემდეგ შეიძენდი. მაგრამ ფინანსური მრჩევლები ღია ეთერიდან უკვე რამდენიმე თვეა უბრალო მოკვდავებს კრედიტბარათის გამოყენებისგან თავის შეკავებას ურჩევენ. გაკოტრების გზაზე მდგომმა ამერიკის მედიის უძველესმა ზვიგენმა New York Times რამდენიმე კვირის წინათ 250 მლნ. დოლარი მექსიკელ მილიონერ კარლოს სლიმისგან მიიღო და გადარჩა. ფინანსური პრობლემების გადაჭრას სხვა ჟურნალ-გაზეთებიც ცდილობენ. ფაქტია, რომ ამერიკელების მსყიდველობითი უნარი საგრძნობლად დაქვეითდა, მანამდე კი საქონლის ფასს სასურველი საგნის შეძენის მსურველები ბარიერად არ განიხილავდნენ. ფულადი ნიშნების მინიმალიზაცია, რასაკვირველია, არ შეეხო ტრადიციულად მდიდარ იმ ელიტას, რომელიც „Forbes“ -ის მდიდარ ნომინანტთა წრის წარმომადგენელია. ამ ადამიანებმა რამდენიმე ან უფრო მეტი ათეული მილიონი დაკარგეს, მაგრამ უსახლოდ, ულუკმაპუროდ არ დარჩენილან და მათი დღიური რაციონი არ შეცვლილა.

კრიზისის ქარბორბალამ სილიკონის ველსაც გადაუარა: Google 68 პროცენტით გაღარიბდა, Microsoft-მა ათასობით თანამშრომელი გაათავისუფლა. კრედიტპოლიტიკას, უდაოდ, თავისი დადებითი მხარე აქვს, მით უმეტეს, როცა საუბარია განათლების მიღებაზე. თუმცა ამის საშუალებაც, ისევე როგორც დაზღვევის, ყველა ამერიკელს არა აქვს. მაგრამ რახან მედალს ორი მხარე აქვს, ხოლო კეთილდღეობის პერიოდში მხოლოდ ავერსს დაჰყურებენ, რევერსს კი —ნაკლებად, ამიტომ მან (რევერსმაძ მარტო ამერიკას კი არა, მთელ მსოფლიოსაც თავისი ცინიკური გრიმასა აჩვენა.

ამერიკული ოცნების ღერძოვანი პრინციპი საკუთარი სახლი, კომფორტული „ლექსუს“ მანქანა, კარგი სამსახური, თვითრეალიზაციის მაქსიმუმი, უზრუნველყოფილი ოჯახი და სიბერეა, მაგრამ ამ ოცნების ასრულების გზაზე ამერიკა კრედიტის ნემსზე შეჯდა და კრედიტნარკომანად გადაიქცა. დაკრედიტების პროცესში შექმნილი „ვირტუალური ფული“ ეკონომიკური კრიზისის დროს მომაკვდინებელ ბუმერანგად გადაიქცა. ამერიკელ ეკონომისტებს ახლა გაახსენდათ, რომ ჩინეთი აშშ-ის 682 მლრ. დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდების მფლობელია. ობამას ადმინისტრაცია უკვე შეშფოთებულია იმით, რომ ჩინეთი ამ ობლიგაციებით მანიპულირებას დაიწყებს, რაც უშუალოდ სავალუტო ბრუნვის პოლიტიკაზე აისახება. შეშფოთებული არიან ამერიკული საპენსიო ფონდის დეფიციტითაც (1 მლრ. დოლარიძ. თუმცა თვლიან, რომ დოლარს, როგორც ვალუტას, ალტერნატივა კიდევ დიდხანს არ ექნება.

ჯიუტი რეცესიის შესაჩერებლად ამერიკის ახალი მთავრობა, ბუშის ადმინისტრაციის დარად, ქვეყნის სასიცოცხლო სისხლძარღვებში „ახალი“ წითელი სითხის — 825 მლრ. დოლარის (ამ თანხას Bailont, ანუ „ბარე გირაოს“ უწოდებენძ მოცულობით აპირებს, თუმცა სკეპტიკოსების აზრით, ეს ავადმყოფს დიდად არ უშველის. 2008 წლის სექტემბერში რესპუბლიკელებიცა და დემოკრატებიც ამგვარ ნაბიჯს არჩევნებამდეც და არჩევნების შემდგომაც მიესალმებოდნენ. საკითხი, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში მაკქეინსა და ობამას პოლიტიკურ პროგრამას აერთიანებდა, ენერგიის ალტერნატიული წყაროების შექმნა-დანერგვა გახლდათ, მათ შორის ე.წ. „სუფთა“ ქვანახშირის გამოყენებაც.

ამერიკაში Recyeling (გადამუშავება მეორადი მოხმარებისთვისძ ქვეყნისა და თითოეული ოჯახის ცხოვრების რუტინაა, როცა ყველანაირი სახის კონტეინერი (სუფთა თუ ჭუჭყიანი, ლითონის, არალითონის, მინის, პლასტმასის, ქაღალდისძ თუ მაკულატურა ცალკე სანაგვე ყუთებში თავსდება, ხოლო მის ადრესატამდე მიტანაზე სპეციალური სამსახური ზრუნავს. შარშან „მწვანე აზროვნების“ გამოისობით აშშ-ში 41 მლნ. ხე მოჭრას გადაურჩა. დღესდღეობით ენერგიის დამზოგავი ტექნოლოგიები „მწვანე ფერის“ მოდა კი არა, სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. თუმცა როცა საქმე საჯარო პირების ცხოვრების დეტალებამდე მიდის, სულ სხვა, „არამწვანე“ სურათი იხატება. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ორგზის ოსკაროსანი და ნობელიანტი, ამერიკის ექსვიცე-პრეზიდენტი (ავტორი წიგნისა და ფილმისა „უხერხული სიმართლე“, რომლის საფუძველზეც ამჟამად ოპერაც იწერებაძ ალბერტ გორი, გლობალური დათბობის საშიშროების მქადაგებელი და ენერგიის ეკონომიურად ხარჯვის ხმალამოღებული მებრძოლი თვეში უფრო მეტ ელექტროენერგიას ხარჯავს, ვიდრე საშუალო სტატისტიკური ამერიკელი ერთი წლის განმავლობაში. მაგრამ გამარჯვებულს, მით უმეტეს ნობელიანტს, არ ასამართლებენ... ასეა თუ ისე, ამერიკელი მეცნიერები ობამას თამადობით ეკონომიკური ენერგიის ინტენსიური ძიების პროცესში იმყოფებიან. ამერიკულმა ჟურნალმა Energy and Envirommental Science გამოაქვეყნა სტატია ენერგიის იმ შვიდი ყველაზე პერსპექტიული წყაროს შესახებ, რომელიც არამარტო ამერიკის ატმოსფეროსა და ეკონომიკას მოუტანს შვებას: ქარის, მზის კონცენტრირებული, გეოთერმული, მოქცევის, ტალღოვანი ენერგია, მზის ბატარეები (ისინი აღდგენით ენერგიას მიეკუთვნებიანძ და ჰესების კაშხლები. ასევე დასახელებულია არაწიალისეულიც: ბიოსაწვავი (მიიღება სიმინდისა და სხვა მცენარეული ნარჩენების გადამუშავებით, მაგრამ მასაც არასასიამოვნო გვერდითი მოვლენები ახლავსძ, ატომური ენერგია და „სუფთა“ ქვანახშირი. იგულისხმევა, რომ ამ ენერგიის მომხმარებელი ამერიკული ავტომანქანა — General Motors -ის პროდუქტი იქნება. თუმცა, როცა კალიფორნიის შტატმა მანქანის გამონაბოლქვის მაკონტროლებელი კანონის მიღება გადაწყვიტა, რესპუბლიკელებმა იგი დაბლოკეს. ამგვარი სიახლე დამატებითი სახსრების მოძიებასა და ახალი ტექნოლოგიის დანერგვას მოითხოვდა, როსთვისაც ამერიკული ავტოგიგანტი მზად არ იყო.

იხ. 6 გვ.

სოფელი

# სანამდე ლაბას იმედით?

## უხვი მოსავლისთვის თანამედროვე ტექნიკაა საჭირო

**როგორი ტიპის მანქანა-ტრაქტორებს უნდა მიეცეს უპირატესობა ჩვენს მთაგორიან რაიონებში მიწის დამუშავებისას? — ამ კითხვით დავიწყე საუბარი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთან, სახელმწიფო პრემიის ლაურეატ პროფესორ რევაზ მახარობლიძესთან.**

**ბატონი რევაზი წლების განმავლობაში მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი იყო, ამჟამად ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა და ამ საკითხებზე 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომა აქვს გამოქვეყნებული.**

— დღევანდელი რეალობა, — ამბობს იგი — დღის წესრიგში აყენებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით კვლავაღჭურვის საკითხს, ვინაიდან ისინი მოძველებულია 4,5-ჯერ მეტ სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს ხარჯავს, ვიდრე ანალოგიური ტექნიკა აშშ-ში და 6,8-ჯერ მეტს — ვიდრე იაპონიაში. შრომის დანახარჯები მეცხოველეობის პროდუქტების ძირითადი სახეობების დამზადებისთვის 10-30-ჯერ მეტია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ეს კი, ცხადია, პროდუქციის თვითღირებულებასაც აძვირებს.

**— რით შეიძლება პროდუქციის თვითღირებულების შემცირება?**

— მხოლოდ რესურსების — ენერგიის, ლითონის, ნიადაგის, სასუქის, წყლის, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვა მასალების დაზოგვით. ეს კი ძირითადად მიიღწევა ნიადაგზე ოპერაციებისა და პროცესების შეერთებით, კულტურებისა და თესლბრუნვის ოპტიმალური შერჩევით, აგროლანდშაფტური პირობების გათვალისწინებით და ა. შ. შესაბამისად, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად გამოიყენება ისეთი მანქანები, რომლებსაც აქვთ იმგვარი საექსპლუატაციო თვისებები, როგორიცაა ადაპტაციის უნარი, დაპროექტებული და აწყობილი არიან ბლოკ-მოდულური პრინციპით და ინტელექტუალური ტექნიკით. ასევე არის მაღალი კომპიუტერული ტექნოლოგიის მანქანები, რომლებიც სასუქების დიფერენცირებულად შეტანის ტექნოლოგიის საფუძველზე სახნავის ყოველი კვადრატული მეტრის მიხედვით ათანაბრებენ მოსავლიანობას კომუნიკაციების ახალი სახეობის (კოსმოსური, სატელევიზიო, ლაზერული და სხვა) გამოყენებით.

ტრადიციული ტექნოლოგიით ერთ ჰექტარზე იხარჯება 48,9 კგ. საწვავი, ხოლო ახალი ტექნოლოგიით — 19,25 კგ. ერთი ოპერატორი ცვლის 12 ოპერატორს, ამას უნდა დაემატოს მოსავლიანობის ზრდით მიღებული მოგება და შედეგი მეტად სასიამოვნო იქნება.

**— ბატონო რევაზ, ყოველივე ეს ძალიან კარგია, მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნები არ გვაქვს, და ამიტომ ყველაფერი საზღვარგარეთიდან შემოდის, როგორ განვსაზღვროთ მათი პრინციპები და ნომენკლატურა?**

— ტექნიკის შეძენისას მანქანების ნომენკლატურა და პარამეტრები უნდა განისაზღვროს ადგილობრივ ზონალურ პირობებში კულტურების ინტენსიური და მაღალი ტექნოლოგიებით მოვლა-მოყვანის მოთხოვნილებების გათვალისწინებით. კარგად უნდა ვერკვეოდეთ იმაში, თუ რას და რისთვის ვყიდულობთ. დღეს მსოფლიო ბაზარზე არჩევანი დიდია, რადგან უცხოური ფირმები სახსრებს არ ზოგავენ საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, რათა გაზარდონ ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებში ეფექტური კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის, სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესებში უახლესი ტექნოლოგიების ათვისების ტემპი.



თანამედროვე ტრაქტორებში შერწყმულია მანქანათმშენებლობის და ელექტრონული მრეწველობის მიღწევები. მაგალითად, სამუშაო დღის ბოლოს ტრაქტორისტს შეუძლია საბორტო კომპიუტერიდან ამოიღოს მონაცემები ჩატარებული სამუშაოს შესახებ და გადაიტანოს ისინი კომპიუტერში, რათა გააანალიზოს შესრულებული სამუშაო, განსაზღვროს მეორე დღისთვის აგრეგატის ეფექტურად გამოყენების გზები კონკრეტულ სამუშაოზე და სხვ.

**— ბატონო რევაზ, ალბათ დღის წესრიგში თანამედროვე საინჟინრო სერვისის სტრუქტურის ჩამოყალიბებაც უნდა დადგეს. თქვენი აზრით, როგორი სტრუქტურა გვჭირდება ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაზეც ვისაუბრეთ?**

— ჩვენ ისეთი საინჟინრო სერვისი გვჭირდება, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს შეეძლება დღევანდელი ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად იმგვარი თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარება, რომელიც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების პრაქტიკაში ახალი თაობის ტექნოლოგიების დანერგვას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, მცირე დანახარჯებით მივიღოთ მაღალი მოსავალი.

მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა ასე მიაღწიეს წარმატებას სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდაში. სწორედ მაღალმწარმოებლური ტექნიკის შესაძლებლობებმა და ახალი თაობის ტექნოლოგიების ათვისების აუცილებლობამ წაახალისა საზღვარგარეთ ფერმერული მეურნეობების გაერთიანება. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში ცნობილ მოდელებს (გერმანიაში მანქანური რინგი, იტალიასა და აშშ-ში საკონტრაქტო ფირმა, ნიდერლანდებში — კოოპერატივი), საქართველოში ასეთ სტრუქტურად გვესახება სხვადასხვა საკუთრებისა და ფუნქციების მქონე მანქანა-ტექნოლოგიური სადგურები (მტსძ), რომელთა ძირითადი ამოცანა უნდა იყოს სოფლის მეურნეობის წარმოებაში მაღალი ტექნოლოგიების ათვისება და რეგიონის ფერმერულ მეურნეობებში გავრცელება.

**— ჩემი აზრით, კარგი იქნება ახალი საკანონმდებლო აქტების მიღება, რათა შესაძლებელი გახდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირება. თქვენ მიიჩნევთ საჭიროდ ახალი კანონების მიღებას?**

— არა მარტო ეს, არამედ, საერთოდ, საქართველოს აგროსამრეწველო წარმოების პოლიტიკაში მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები და კანონებია მისაღები, რაც დღემდე არ სრულდება. ჩამოვთვლი რამდენიმე მათგანს. კანონი აგროსამრეწველო კომპლექსის მანქანათმშენებლობის შესახებ, საწარმოო-ტექნოლოგიური და აგროსაინჟინრო სერვისის, საამორტიზაციო ანარიცხებისა და ტექნიკური განახლების მიზნობრივი ფონდების ფორმირების შესახებ და სხვა.

ვფიქრობ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ახალი თაობის ტექნოლოგიებით აღჭურვის ზემოთ მოცემული პრიორიტეტებისა და შემოთავაზებული კომპლექსური ღონისძიებების რეალიზაციის საფუძველზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას შეუძლია გაიდეს პროდუქტების წარმოების ახალი, XXI საუკუნის შესატყვის ტექნოლოგიებზე.

ესაუბრა
**ნაზი იმნაიშვილი**

გლობუსი

# აშშ-ის პრეზიდენტის

**ინაუგურაციის ხანგრძლივი და დამღლელი ცერემონიალისა და ათ ბალზე დასწრების შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა გვიან ღამით დაასრულა 20 იანვრის დღე, მაგრამ თანახმად დაპირებისა 21 იანვარს, დილის ცხრის ნახევარზე შევიდა ოვალურ კაბინეტში. ასე დაიწყო აშშ-ს ისტორიაში პირველი შავკანიანი პრეზიდენტის პირველი სამუშაო დღე.**

პირველი სამუშაო დღე დაპირებების შესრულების დაწყებას მიეძღვნა. პრეზიდენტმა მოიკითხა გუანტანამოს სამხედრო ბაზაზე განთავსებული, ტერორისტულ აქტებში ეჭვმიტანილთა ციხის დოკუმენტაცია და კიდევ ერთხელ გადახედვის შემდეგ, ხელი მოაწერა დოკუმენტს ერთი წლის განმავლობაში ციხის გაუქმების თაობაზე. პრეზიდენტს არაფერი უთქვამს ციხეში მყოფი 245 პატიმრის შესახებ. ჯერჯერობით უცნობია გაასამართლებენ თუ არა მათ აშშ-ს სასამართლოში ან საერთოდ გაათავისუფლებენ. გათავისუფლება უფრო პოლიტიკური ნაბიჯი იქნება, ვიდრე სამართლებრივი.

მეორე საკითხი, რითაც პრეზიდენტი დაკავდა, ისრაელ-პალესტინის ომი იყო. ობამამ სატელეფონო საუბრები გამართა ეგვიპტის პრეზიდენტ მუბარაქთან, ისრაელის პრემიერ ოლმერტთან, იორდანიის მეფე აბდულასთან და პალესტინის პრეზიდენტ აბასთან, რის შემდეგ პირველი განცხადება გააკეთა ისრაელ-პალესტინის ომთან დაკავშირებით.

ისრაელის 22-დღიანმა ომმა ნანგრევებად აქცია ღაზის სექტორი, 1360 პალესტინელის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის 400 ბავშვის. 5.300 ადამიანი დაასახიჩრა და 50.000 უსახლკაროდ დატოვა. ისრაელის ხელისუფლება გამარჯვებას აღნიშნავს, ისე, როგორც ჰამასი, თუმცა ფაქტი სახეზეა — ისრაელმა ვერ გაანადგურა ჰამასი ანუ მან ვერ გააკეთა ის, რისთვისაც ომი დაიწყო. „ისრაელმა შესაძლოა ჰამასი მიწასთან გაასწოროს, მაგრამ აგრესია თვით ისრაელს ანადგურებს, ანგრევს მის სულს და იმიჯს, ანგრევს ტელეეკრანებზე და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომელთა კაბინეტებში“ — წერდა თელავივის გაზეთ „ჰაარეცის“ ჟურნალისტი არი შავიტი. ისრაელისადმი ბუშის ადმინისტრაციის განუზომელმა მხარდაჭერამ მკვეთრად დაუპირისპირა აშშ-ს არაბული და მუსლიმანური სამყარო. **შეძლებს ახალი პრეზიდენტი კრიზისის მოგვარებას? უახლესი მომავალი გვიჩვენებს. სურვილი დიდია. მიდგომა განსხვავებული — ახლო აღმოსავლეთის ლიდერებთან საუბარი, მოსმენა და არა უწინდელი ხელისუფლების მსგავსად განკარგულებების გაცემა, ვითარების გაანალიზება და შესაბამისად დასკვნების გამოტანა. რეგიონი უკვე მოიარა პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა, გამოცდილმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა, 75 წლის ჯორჯ მიტჩელმა. არ არის გამორიცხული, რომ ამერიკის დიპლომატიამ დიალოგი გამართოს ჰამასთანაც.**



ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოგვარებისთვის კომპლექსური მიდგომაა საჭირო, რაც თავისთავად გულისხმობს მილიარდნახევრიან მუსლიმანურ სამყაროსთან ვაშინგტონის მრავალწლიანი, ტრაფარეტული მიდგომის შეცვლას, „ისლამურ სამყაროსთან ჩვენ ვისწრაფვით ახალი წინსვლისკენ ურთიერთინტერესებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე“, — განაცხადა საინაუგურაციო სიტყვაში.

პრეზიდენტმა წინასაარჩევნო დაპირების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც შეასრულა, როდესაც ოვალურ ოფისში პირველსავე სამუშაო დღეს მზადყოფნა გამოთქვა ირანთან პირდაპირი მოლაპარაკების დაწყებაზე, ირანთან ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, ირანის მხრიდან ურანის გამდიდრების სამუშაოების შეწყვეტის ფონზე. როგორც ჩანს, ვაშინგტონი არ დაელოდება ირანის საპრეზიდენტო არჩევნებს და დიპლომატიურ მოლაპარაკებას გაცილებით ადრე შეუდგება. მით უმეტეს, როდესაც ირანის პრეზიდენტზე, თანამდებობიდან გამომდინარე, ყველაფერი არ არის დამოკიდებული. ქვეყნის რეალური მეთაური სულიერი ლიდერი ჰამენეია. სწორედ ის განსაზღვრავს პოლიტიკურ კურსს.

ირანის ისლამური რესპუბლიკა დღესასწაულს — რევოლუციის დღეს აღნიშნავს. 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 76 წლის აიათოლა ჰომეინი ხანგრძლივი გადასახლებიდან ირანში დაბრუნდა, რითაც საფუძველი ჩაუყარა გასული საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, ისლამურ რევოლუციას. მის დაბრუნებამდე ქვეყანა სამუდამოდ დატოვა ირანის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ, რომელმაც სიცოცხლე ეგვიპტეში დაასრულა. ირანის ისლამურმა რევოლუციამ სული შთაბერა ისლამის ახალ აღორძინებას დასავლეთში, რომ რადიკალურად მოიხსნება. თეირანმა აშშ „უდიდეს ეშმაკად“ და მუსლიმანური სამყაროს მტრად გამოაცხადა. ორი წლით ადრე, 1977 წელს ირანის შაჰის მასპინძლობით მოხიბლული აშშ-ს პრეზიდენტი კარტერი ირანს მსოფლიოს ამ მშფოთვარე რეგიონში „სტაბილურობის კუნძულს“ უწოდებდა. ის, რომ მსოფლიოს აღნიშნული რეგიონი, ისე, როგორც დღეს, მშფოთვარე იყო, კარტერი არ შემცდარა, მაგრამ იყო თუ არა შაჰის ირანი სტაბილური, მან ვერ გათვალა. 2 წლის შემდეგ ქვეყნის შიგნით არსებულმა რევოლუციურმა დუღილმა ლავასავით ამოხეთქა და არა მარტო შაჰის მმართველობა წალეკა, არამედ ალყაში მოაქცია შაჰის მხარდამჭერი მეგობარი ამერიკის საელჩო და წერტილი დაუსვა კარტერის მეორე ვადით არჩევის პერსპექტივას. 1979 წლიდან აშშ-ს არ აქვს ირანთან დიპლომატიური ურთიერთობა. 30 წლის განმავლობაში ოფიციალური ვაშინგტონი რას არ ეცადა ირანის კონტრრევოლუციის მოსაწყობად, მაგრამ უშედეგოდ. უშედეგო გამოდგა რეიგანის ადმინისტრაციის ყოველგვარი დახმარება ერაყის დიქტატორ სადამ ჰუსეინისადმი, რათა მის მიერ ირანის წინააღმდეგ წამოწყებული ომით წერტილი დასმოდა ირანის თეოკრატიულ მმართველობას. ირანმა წარმატებით გაართვა თავი 8-წლიან ომს და თავდაჯერებული შეუდგა ახალი ცხოვრების მშენებლობას. 30 წლის განმავლობაში ირანი რეგიონის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა და საფუძვლიანად გამოხატა საკუთარი პრეტენზია რეგიონის ლიდერობაზე. ირანის გარეშე შეუძლებელი ხდება ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოგვარება, ტერორიზმთან ბრძოლა, ალ ყაიდას გამკლავება. ბუშის ადმინისტრაციის სტაფილოსა და ჯოხის პოლიტიკა თავმოყვარე ირანისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. შექმნილმა ვითარებამ ნათელი გახადა, რომ ბირთვული კვლევის მეცნიერებას დაუფლებული ირანის იგნორირება პოლიტიკური სიბეცეა. სწორედ ამის გათვალისწინებით აპირებს პრეზიდენტი ობამა ირანთან მიმართებაში ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბებას — დიალოგით, დიპლომატიით, და არა ბირთვულ ობიექტებზე საჰაერო თავდასხმის მუქარით. ირან-აშშ შორის შექმნილ ვითარებას და რეგიონის პრობლემებს მიეძღვნა დავოსში გამარ-

ვითხოვ სიტყვას!

# საზოგადოება: ხალხი თუ... ბრბო?

**უკვე, შეიძლება ითქვას, რომ საფუძვლიანად დაისადგურა ახალმა – 2009 წელმა. იანვარიც მიიწურა, ზარ-ზეიმებით მივიღეთ და გავაცილეთ ახალი თუ ძველი სამოქალაქო და რელიგიური დღესასწაულები, რაც, ღვთის მადლით, საკმაოდ უხვად გვაქვს ქართველებს. ნუმც მოგვკლებოდეს, მაგრამ გვეზეიმებოდა კი?**

მართლაც, ისე ჩამთავრდა 2008 წლის დღეები, რომ თავს ვეკითხები: ჩამთავრდა კი? „დროის" ასტრონომიულმა შინაარსმა დაკარგა თავისი ძალა და მნიშვნელობა. ის წელი თითქოს არსადაც არ წასულა, იგი ფეხმოუცვლელად დგას ჩვენს ცხოვრებაში და მთელს საქართველოს მცხოვრებთ (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა!ძ ისე გვიფორიაქებს სულს, ისე უსაშველოდ გვაწვება მხრებზე და გვიშხამავს სიცოცხლეს, როგორც ეს აგვისტოს თავზარდამცემ დღეებში ხდებოდა. თუ ეს ასე არაა, მაშ კვლავ რატომ ისმის რუსული იარაღის ხმა, რატომ იღვრება ქართველ მამულიშვილთა სისხლი, მავთულ-ხლართებით რატომ იღობება ჩვენი მამა-პაპის სისხლით და ოფლით გაპოხილი მიწა. თავიანთი ნაჯაფ-ნაამაგარ, ბარაქით სავსე სახლ-კარს რატომ არიან დანატრებული საკუთარ სამშობლოში ეშმაკთაგან დევნილი ოჯახები. ცუდი რამ ხდება საქართველოს თავს და ეს ცუდი მხოლოდ გარეშე მტრისაგან მომართული აგრესია როდია.

დრო მიდის, მაგრამ ქართული დრო ერთი ნაბიჯითაც არ იძვრის წინ. მიზეზი არა ასტრონომიული კალენდრის ცდომილებაა, არამედ პოლიტიკურის, ეკონომიურის, სოციალურის. ცდომილებაა იმის, ვისაც ალნიშნულ სფეროებზე გავლენა ხელეწიფება. ასეთი ვინმე კი მთავრობაა და თუ კიდევ უფრო შორს წავალთ, ძიებას განვაგრძობთ და ლოგიკას დავემორჩილებით უთუოდ ხალხთან, საზოგადოებასთან მივალთ. მივალთ იქ, ვის წიაღშიც უნდა წარმოიქმნას და წარმოიშვას საზოგადოების მმართველი ჯგუფი – მთავრობა, ხალხის რჩეული და ხალხზე დამოკიდებული, ასეთ სტრუქტურას და ასეთ ურთიერთდამოკიდებულებებს შემდგომში საკანონმდებლო ორგანოები და იქ მიღებული კანონები ამაგრებენ და აწესრიგებენ. ამ კანონებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი საარჩევნო კანონმდებლობას უჭირავს. ისეთ ქვეყანაში, სადაც არც ხალხია შემზადებული იმისათვის, რომ ქვეყნის მმართველობაში მოსაყვან პირებზე კრიტიკულად და სერიოზულად იფიქროს, გაისარჯოს და იზრუნოს, არც საარჩევნო კანონია დახვეწილი, ცივილიზებული ქვეყნისთვის შესაფერი, არც პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში დგას მოსახლეობის ცოდნის ამაღლებისთვის ზრუნვა, რასაკვირველია, ასეთ პირობებში შემთხვევითობებს უფრო ექნება ადგილი, ვიდრე პასუხისმგებლობას და მიზანდასახულობას. არ არსებობს ჩვენთან მთავრობაში თუ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე საუკეთესო პროფესიონალთა, ღირსეულ და კაცთმოყვარე ადამიანთა სწორად და საფუძვლიანად შერჩევის პრინციპი. აი სწორედ ამიტომ ხდება საქართველოში სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური სიტუაციების არამც თუ დაკონსერვება, არამედ უკუსვლა.

ბუნებაში, როგორც იტყვიან, არ არსებობს საგანი, რომელსაც არ ჰქონდეს ორი მხარე. მოდით ახლა ჩვენ საზოგადოებაზე ვისაუბროთ (მასაც ორი მხარე აქვს!ძ, და ვისაუბროთ ჯერ იმაზე, რაც ჩვენს კეთილმოსურნეთ თვალში ხვდებათ და გულს უთანაღრებს. ვერ დავფარავ, თავს ვერ მოვიტყუებ, ამიტომ პირდაპირ ვიტყვი, რომ საზოგადოება საქართველოში არამცთუ ხალხად დარჩა, არამედ ბრბოდ იქცა. აშკარად იგრძნობა მათი არსებობის მოტივაცია – მხოლოდ პირადი კეთილდღეობა. ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან ვინ სად და რა ჩაიგდო ხელში, ვინ სახელმწიფოს თუ პიროვნებას რა გამოსტაცა, ამას ვინ მოთვლის. სხვათა შორის, ასეთმა „მარჯვე" ადამიანებმა ავტორიტეტიც მოიპოვეს. ქონება ხომ ძალაა და ძალას ყველა ეთაყვანება. ბოლოს და ბოლოს ძალა ხომ ალმართს ხნავს. ვიცით ჩვენ ეს! დღეისათვის ასეთი „ძალოვანები" ქვეყანას მოუმრავლდნენ. მათმა სიმრავლემ წინ კი არ წაგვწია, პირიქით, ერთ მდიდარზე უამრავი ღარიბ-ღატაკი მოგვიმრავლა. პარალელურად ღარიბდება მთლიანად ქვეყანა და არამც თუ ღარიბდება, არამედ ტერიტორიულად მცირდება.

ის, რაც საქართველოს ბოლო ოთხ წელიწადში დაემართა, ამას ქვეყნის დაქცევა ჰქვია, რასაც ყველა აღიარებს, ყველა ხვდება (რა ძნელი მისახვედრია!ძ მაგრამ როგორია რეაქცია? სამწუხაროდ, არაფრისმთქმელი და არაფრისმქნელი! თუმცა, როგორ არა, ბევრისმთქმელია თავად ჩვენი ქალაქი. თავი არ მინდა მკითხველს მოვაბეზრო ჩვენი „თანამედროვე" არქიტექტურის აღწერით, ამაზე სხვებთან ერთად მეც ბევრი მითქვამს. შევიხედოთ, უბრალოდ, ქალაქის რომელიმე პარკში, მაგალითად „ვაკის პარკში". თუ მოსეირნე ადგილობრივი მაცხოვრებელი არ არის, მაშინ ის უდავოდ გაიფიქრებს, რომ გუშინ (ან წუხელ!ძ აქ ბრბოს გადაუვლია და დაუტოვებია აურება, თანამედროვე ყოფის „აქსესუარი": ბოთლები, სხვადასხვაგვარი კონსერვის ცარიელი ქილები, ქაღალდები, პაპიროსის ნამწვავები, ერთჯერადი თეფშები, ცელოფანის პარკები. ერთ ადგილზე, კი არა – მთელ პარკში, ყოველ ლამაზ ხესთან თუ ბუჩქთან. თუმცა ეს წვრილმანები დაუდევრობა, სიბინძურე თუ ახლადშეკეთებული სკამების მტვრევა, ურნების გადაბრუნება, რა სალაპარაკოა იმასთან შედარებით, რასაც პარკში ხეების გაჩეხვა და მშენებლობათა წამოწყება ჰქვია.

ქალაქის „მეურვეთა" ასეთ შემოქმედებას ხშირად ვხედავთ და როგორც ჩანს შევეგუეთ კიდეც. შევეგუეთ ფეხით მოსიარულეთა სავალი ტროტუარების მანქანების სადგომად ქცევას, ქალაქის გზების მეტისმეტად გადატვირთვას... დაუკვირდით თქვენს ქუჩაზე ავტომობილების რაოდენობას, გუშინ რაც იყო, დღეს ორჯერ უფრო მეტია. ქვეყნის ბედით „შეწუხებულები" ერთმანეთს ეჯიბრებიან ძველი ეგვიპტური სარკოფაგების მსგავსი მანქანების შეძენაში. ეს ის მცირეოდენი, გარედან დანახული დეტალია ჩვენი ხალხის „შემოქმედებიდან" იმ უამრავს შორის, რაც მკვეთრად ჩანს და რაზედაც ვერავინ შეგვედავება. თუ ვფიქრობთ, რომ ყოველივე ეს წვრილმანია და ჩვენს ეკონომიკასა და პოლიტიკასთან რა მოსატანია, სწორედ რომ ასეთი მსჯელობაა ჩვენი დაუდევრობა, სიბრმავე და ბრბოდ ქცევის მიზეზი.

მახსოვს გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მოსახლეობაში გაჩნდა საბჭოთა იდეოლოგიის „გიყვარდეს შენი დიდი სამშობლო საკუთარ შვილზე და ოჯახზე მეტად" საწინააღმდეგო აზრი, ჯერ შენი ოჯახი უნდა გიყვარდეს და მერე სამშობლოო. სხვათა შორის, ასეთი რამ პირველად რუსულ სკოლაში, რუსი პიონერხელმძღვანელისაგან მოვისმინე და ძალიან განვცვიფრდი, ისე ვიყავი შთაგონებული „სამშობლოს სიყვარულის იდეით:" მაგრამ მაშინდელმა, ეგრეთ წოდებულმა საბჭოთა ხალხმა იცოდა კი სად იწყებოდა მისი სამშობლო და სად მთავრდებოდა იგი? სამშობლოს მიმართ ნიჰილიზმის გაჩენის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ესეც იყო.

საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდში, ახლა უკვე საქართველოში დაიწყეს მსჯელობა რომელია უფრო დიდი ღირებულება, სამშობლო თუ ჭეშმარიტებაო! თუ გვინდა, რომ საკუთარ თავთან მართალი ვიყოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს უაღრესად ფილოსოფიური კითხვა არც ისე ადვილად პასუხგასაცემია, მაგრამ მაინც გავბედავ და ვიტყვი: იქნებ თავად სამშობლოა ჭეშმარიტება?

ეს რეალიები ერთმა თანამედროვე პოლიტიკოსმა გამახსენა, რომელიც სავსებით გულწრფელად (იქნებ საკუთარი მეობიდანაც გამომდინარე!ძ გვმოძღვრავდა ცისფერი ეკრანიდან: მაშინ გვექნება ძლიერი სამშობლო, თუ ხალხს იგი საკუთარ ოჯახზე მეტად ეყვარებაო.

მეტად რა მოგახსენოთ და, საკუთარ ოჯახივით მაინც რომ გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, მაშინ...

მაშინ არ დაცარიელდებოდა ჩვენი სოფლები და ქალაქები, მოსახლეობა თავის საკუთარ მიწაზე დაღვრიდა ოფლს და მიაგნებდა არა მარტო საარსებო მატერიალურ ძალას, არამედ ძლიერი სახელმწიფოს საძირკველსაც აიშენებდა. სამწუხაროდ ბრბოდ ქცეული ხალხი არც სამშობლოზე ფიქრობს და არც მის გასახელმწიფოებაზე, ფაქტები არ არის ძნელად მოსაძიები: ზოგიერთებმა ავადმყოფ სამშობლოს მოვლას პირადი კეთილდღეობის საძიებლად მდიდარ ქვეყნებში გაქცევა ამჯობინეს, დარჩენილების ნაწილმა, იგივე საკუთარი ცხოვრების უზრუნველსაყოფად საქვეყნო ქონება დაიტაცა, მმართველობის სათავეებშიც მოექცა, ისეთი კანონსამართალი მოიწყო, ცა ქუდად მოირგო და დედამიწა ქალამნად. ასე ცხოვრობს ბევრი.. ხალხის ბრბოდ ქცევის მიზეზებიც აქ უნდა იყოს საძებნი.

ვინ ფიქრობს ხალხზე?

როცა ამას ვამბობ, ერთი ორი ათეული ივანიშვილისთანა ადამიანების გამოჩენაზე როდი ვფიქრობ, ხალხი რომ დაგვიპუროს და შეგვიმოსოს. არა, რა თქმა უნდა. ხალხის საზოგადოებად ქცევა, საზოგადოებად ჩამოყალიბებაა საჭირო.

იხ. 7 გვ.

გლობუსი

# პირველი სამუშაო დღე

თული საჯარო მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ: საფრანგეთის, ირანის, ერაყის, კენიის საგარეო საქმეთა მინისტრები, ავღანეთის თავდაცვის მინისტრი და ბირთვული ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ყველამ ერთხმად აღნიშნეს, რომ ობამას ინიციატივა მისასალმებელია და თუ სიტყვას საქმე მოყვება წარმატებაც იქნება. **საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუშნერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვერც ავღანეთის და ვერც ახლო აღმოსავლეთის პრობლემები ვერ მოგვარდება ირანის გარეშე. ირანი, ეს უდიდესი სახელმწიფო შუაშია მოქცეული და ანგარიშგასაწევია" – თქვა მან, ამასთანავე ისიც დაუმატა, რომ ირანმა ბირთვული ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციას უნდა წარუდგინოს ტექნიკური დოკუმენტაცია. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ბარადეიმ აღნიშნა, რომ ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ამერიკის ყოფილი ადმინისტრაციის მიდგომას ირანისადმი. მას მიაჩნია, რომ არა მარტო ირანთან, არამედ ჰამასთანაც საჭიროა მოლაპარაკება. იზოლაცია დამღუპველია. ერაყისა და ავღანეთის მინისტრების განცხადებით წარმატებით მიმდინარეობს კავშირები ირანთან. ირანი ეხმარება მათ არა მარტო ეკონომიკურად, არამედ ტერორიზმთან, ნარკოტიკების, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიშანდობლივი იყო ერაყის მინისტრის ზიბარის სიტყვებიც, რომ ირანი მეგობარი ქვეყანაა, თუმცა მათ ჰქონდათ მძიმე, მტრული დამოკიდებულება და 8-წლიანი ომი. გარდა ამისა ის შეეხო ერაყიდან აშშ-ს ჯარების 16 თვის განმავლობაში გაყვანას და მიესალმა ობამას გადაწყვეტილებას.** ობამას პირველი სამუშაო დღის წესრიგში ეს საკითხიც განიხილებოდა. პრეზიდენტმა დაავალა სამხედროებს ჯარის გაყვანის გეგმის წარდგენა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკონომიკურ საკითხებს, რომელიც განხილულ იქნა საფინანსო-ეკონომიკური დარგის მრჩევლებთან ერთად. პრეზიდენტის განცხადება იყო გულახდილი და შეულამაზებელი – ვითარება იმაზე უარესია, რასაც მოველოდით. მომდევნო დღეს პრეზიდენტმა მკაცრად გააკრიტიკა ბანკირები, რომლებიც მიუხედავად კრიზისისა, უარს არ ამბობენ გაუსაზღვრელი რაოდენობის პრემიების მიღებაზე და ეს მაშინ, როდესაც პრეზიდენტმა გაყინა თეთრი სახლის იმ თანამშრომელთა ხელფასი, რომელიც წლიურ 100 000 დოლარზე მეტია. აშშ-ს პრეზიდენტის ხელფასი 400 000 დოლარს შეადგენს. მოგვიანებით, პრეზიდენტმა, სპეციალურ სატელევიზიო გამოსვლაში, ამერიკელებსა და მსოფლიოს მოახსენა, რომ მიუხედავად ფინანსური სახელმწიფო ინექციისა ამერიკის ეკონომიკა კატასტროფული სისწრაფით მცირდება. ერთადერთი, რაც იმატებს – უმუშევრობაა. ამერიკელი ეკონომისტები საგონებელში არიან. მათ არ იციან რას მოიტანს ახალი დღე. ნაკლები ოპტიმიზმი დაფიქსირდა დაოსის ეკონომიკურ სამიტზე, რაც არ არის გასაკვირი. ევროპისა და მსოფლიოს ლიდერებს უჭირთ ათეულ ათასობით გააფთრებული დემონსტრანტისათვის ლოგიკური პასუხის გაცემა და ასეთ ფონზე საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, რომ აღარაფერი ვთქვათ პრეზიდენტზე, ეკონომიკური ალმავლობის დაწყებას გვპირდება თანაც არც მეტი, არც ნაკლები ა. წ. გაზაფხულზე, საინტერესოა, როგორ? ალბათ იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანას, რომელსაც ეკონომიკა საერთოდ არ აქვს, კრიზისი ვერაფერს დააკლებს.



ეკონომიკური კრიზისის მთავარი შემოქმედი პრეზიდენტი ბუში მშობლიურ შტატში პენსიაზე ყოფნის გეგმებს აწყობს. პენსიის რაოდენობა უტოლდება ბოლო სამსახურის ხელფასს და გაცემა 20 იანვრიდან შედის ძალაში. ანუ ინაუგურაციის დასრულებისთანავე. გარდა ამისა კანონის მიხედვით მას მიეცემა 96.000 დოლარი საკუთარი შტატის შენახვისათვის, 79.000 დოლარი სატელეფონო საუბრებისთვის, 516.00 დოლარი ოფისის დაქირავებისათვის. 2008 წელს ყოფილმა პრეზიდენტმა კლინტონმა სახელმწიფოსგან მიილო 1.162.000 დოლარი, ამ თანხაში არ შედის პირადი დაცვის შენახვის ხარჯები. 1997 წელს მიღებული კანონიდან გამომდინარე ყოფილთა დაცვით უზრუნველყოფა მხოლოდ 10 წლით გრძელდება. რას აკეთებენ ყოფილები? ამერიკის ადრეულ ისტორიაში პრეზიდენტები მიდიოდნენ სახლში და საშინაო მეურნეობით იქცევდნენ თავს, მაგალითად ვაშინგტონი საკუთარი პლანტაციის მოვლით, ვისკის გამოხდით, ჯონ ადამსი სოფლის მეურნეობით და თომას ჯეფერსონთან მიმოწერით. თვით ჯეფერსონი ვირჯინიის უნივერსიტეტის მშენებლობით და სხვადასხვა სახის გამოგონებებით. მას ეკუთვნის მოტრიალე სავარძლის გამოგონება. ჯონ ქვინსი ადამსმა პოლიტიკური ცხოვრება არჩია. მან 18 წელი გაატარა კონგრესში. უილიამ ჰოვარდ ტაფტი აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო. მაგრამ ეს იყო გამონაკლისი. მხოლოდ გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დაიწყეს ყოფილებმა აქტიური მოღვაწეობა. მაგალითად ნიქსონმა, რომელმაც იმპიჩმენტით მიყენებული მორალური ზიანი საზოგადო აქტიურობით გააქარვა, ისეთი, როგორიცაა დიპლომატიასა და პოლიტიკაზე წიგნების წერა, ბიბლიოთეკის დაარსება და სხვა. სამშვიდობო მისიებით სახელი გაითქვა კარტერმა. სუსტი პრეზიდენტობა აქტიური სამშვიდობო ღონისძიებებით ჩაანაცვლა, რამაც დიდი პოპულარობა მოუტანა. ბილ კლინტონმა სახელი გაითქვა შიდსის წინააღმდეგ ბრძოლით, აგრეთვე ეკოლოგიური საკითხების წინა პლანზე წამოწევით. კლინტონი ლექციებსაც კითხულობს, ისევე, როგორც სხვები, მაგრამ მან ამ საქმეში სხვებს აჯობა. თეთრი სახლიდან წასვლის შემდეგ ლექციებით და წიგნების გამოცემით მან 100 მილიონი დოლარი დააგროვა.

ფინანსური თვალსაზრისით ბუშ მეორეს ნაკლები სადარდებელი აქვს. მან თეთრი სახლი 21 მილიონი დოლარით დატოვა. გეგმის მიხედვით გადაწყვეტილი აქვს დალასში ცხოვრება და იქვე თავისუფლების ინსტიტუტის გახსნა, რომელიც ხელს შეუწყობს მსოფლიოში დემოკრატიის განვითარებას.

**ტრადიციის მიხედვით ოვალურ ოფისში შესულ ახალ პრეზიდენტს მაგიდაზე წინამორბედის წერილი ხვდება, რომელსაც, როგორც წესი ეცნობა. ცხადია, ბუშის წერილი ობამამ წაიკითხა, მაგრამ პირველ დღესვე მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სხვა გზა, სხვა პოლიტიკა აირჩია.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## ვითხოვ სიტყვას!

**ხელისუფლება, თითქოს, შეგნებულად ზრუნავს იმისთვის, ქართულ მასმედიას სენსაციური თემები რომ არ გამოელიოს. საახალწლოდ ინდაურების დარიგებაც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. უკვე თებერვალია, ამ თემით კი პრესა დღემდე საზრდოობს და ვინ იცის, სალაღობოდ კიდევ რამდენ ხანს ეყოფა. სამწუხარო ის არის, რომ ლაღობამ არაერთი უფრო მნიშვნელოვანი საკითხი გადაფარა. პარალელურად, ქართულ მასმედიაში ბევრი ისეთი რამ ითქვა და დაიწერა, უყურადღებოდ დატოვება რომ დანაშაულის ტოლფასი მგონია. ვფიქრობ, ინდაურის ასე თუ ისე „გადაფრენის“ შემდეგ, ამისი დროც დადგა.**



# ორი მწარე ხუმრობა ამლენიკე მკრეხელობის გამო,

## მას შემდეგ, რაც ქართულ მასმედიას ინდაურმა „გადაუფრინა“

### საჯარო „სეროზა“

23 იანვარს ტელეკომპანია „კავკასიის“ თოქშოუში („ბარიერი“) რეჟისორ ქეთი დოლიძეს უთხრეს, პრეზიდენტს იმიტომ ეახელი, კინომსახიობთა თეატრის ხელმძღვანელად რომ დაგნიშნესო.

ამის საპასუხოდ, დოლიძემ გამაოგნებელი რამ თქვა: **„მე, ფაქტობრივად, ოცდაათი წელია ვარ ამ თეატრის ხელმძღვანელი და ეს თეატრი, საერთოდ, ჩემი შექმნილია!“**

ეს, მართლაც, მეტისმეტია! ის შემთხვევაა, როცა კამათიც კი უხერხულია.

მკითხველს მხოლოდ იმას შევახსენებ, რომ ბატონი მიხეილ თუმანიშვილი 13 წლის წინათ გარდაიცვალა.

გამოდის, რომ მის სიცოცხლეშიც, 17 წლის (!) განმავლობაში, ქეთი დოლიძე ყოფილა, ფაქტობრივად, თეატრის ხელმძღვანელი (?!).

არადა, არც ბატონი მიშას სიცოცხლეში ყოფილა და არც მას შემდეგ! მეტიც, იმ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში სპექტაკლიც არ დაუდგამს (ბატონმა მიშამ ეს მოახერხა!). მხოლოდ შემდეგ გაშალა ფრთები. იმდენად გაშალა, რომ სცენაზეც შედგა — მსახიობადაც გამოგვეცხადა!

ზემოხსენებულ თოქშოუში ქეთი დოლიძე საპატრიარქოს დამცველად (?!) მოგვევლინა, თავისი (თავისებური) არგუმენტით — „სეროზა“ დავდგი და არავის აუკრძალავსო.

ჭეშმარიტად, კაცი რომ საკუთარ თავს დამართებს, მოსისხლე მტერიც ვერ დაუშავებს: რამდენიმე დღის შემდეგ, „სეროზის“ გამო საპროტესტო აქცია მოუწყვეს.

ესეც რომ არ იყოს, უხერხულია, როცა საპატრიარქოს დამცველად ის რეჟისორი გამოდის, ვის ფესტივალზეც („საჩუქარი“) წარმოდგენილი ერთი მკრეხელური სპექტაკლის გამო, თავის დროზე, საპატრიარქომ, სრულიად საფუძვლიანად, საპროტესტო განცხადება გაავრცელა.

ქეთი დოლიძე უთუოდ იმედოვნებდა, რომ ხსენებული თოქშოუს მონაწილეთაგან ეს არავის ემახსოვრებოდა. გუმანმა არ უმტყუნა. სამაგიეროდ, „სეროზამ“ უმუხთლა.

ღმერთო, მაპატიე, მაგრამ საპატრიარქომ ასე ახლოს არ უნდა მიუშვას ფარისევლები!

* * *

30 წელია, ფაქტობრივად, ამ თეატრის ხელმძღვანელი ვარო(?!).

ხომ არ გადავარქვათ თეატრს დამაარსებლის სახელი?! მისი ძეგლიც ხომ არ ავიღოთ? მეტიც, სიცოცხლეშივე ხომ არ მივანიჭოთ ქეთი დოლიძის სახელი?! ძეგლიც სიცოცხლეშივე ხომ არ დავუდგათ?

* * *

6 თებერვალი ბატონი მიხეილ თუმანიშვილის დაბადების დღეა — 88 წელი შეუსრულდებოდა. ვითხოვ მის ნათელ სულს, მაპატიოს ეს მწარე ხუმრობა. ის იმდენად სულნათელია, დარწმუნებული ვარ, ქეთი დოლიძესაც შეუნდობს.

მე ვერ შევუნდე...

### მძიმე ორშაბათი

ალბათ, ბევრმა იცის, რომ გაზეთ „24 საათს“ კარგა ხანია, თავისი პრესომბუდსმენი ჰყავს. არც ერთი, არც ნაკლები — **ნოდარ ლადარია.**

კაცი ვერ გაიგებს და, ალბათ, თვითონაც არ იცის, რატომ ჰქვია ასე, მაგრამ ფაქტია, რომ ჰქვია.

პრესომბუდსმენს ყოველ ორშაბათს გაზეთის ერთი გვერდი ეთმობა, საკმაოდ საინტერესო, მაგრამ სრულიადაც შეუსაბამო კარიკატურით გაფორმებული: ნახატზე გამოსახულია კომპიუტერი, რომელსაც ანგელოზის ფრთები აქვს, თვითონ ლადარია კი სკამზე წმინდანის სახით ზის და ჰაერში გამოკიდებული მარჯვენა ხელი ტექსტის ასაკრეფად მოუმზადებია.

და ამ ანგელოზისფრთებიანი კომპიუტერით და წმინდანის სახით ის, ძირითადად, მკრეხელურ აზრებს აფრქვევს.

ჩვეულებრივ იმავე გაზეთში, წინა კვირის განმავლობაში გამოქვეყნებულ მისთვის საყურადღებო სტატიებს მიმოიხილავს ხოლმე — ამიტომაც ჰქვია პრესომბუდსმენი (?!).

2 თებერვლის ნომერში ლადარია მიმოხილვას ასე იწყებს: „26 იანვრის ნომერში **გია ნოდიამ** სტატია გამოაქვეყნა — „სეკულარიზაციის ვნებები“. ეს, ასე ვთქვათ, ბოლო მაშხალა იყო ინტელექტუალური ფეიერვერკისა, რომელიც „24 საათში“ იმის წინა კვირას გაიმართა: დავით დარჩიაშვილი, გიგა ზედანია, გიგი თევზაძე... ბოლოს კი გია ნოდია. თვით ტექსტიდანაც **ჩანს, რომ მას სწორედ რომ** (სტილი დაცულია ხაზგასმა ჩემია — **ავტ.**) დასკვნითი სიტყვის თქმა სურდა.

ჯერ აღტაცება გამოვთქვათ: როგორი თაიგულია, თანაც ლადარიასაც თუ მივუმატებთ!

შემდეგ გაკვირვება უნდა გამოვხატოთ: ლადარია ნოდიას... რაღაც-რაღაცეებში არ ეთანხმება.

და, მაინც,ამას, ცხადია, ყურადღებას არ მივაქცევდი, „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს მით უმეტეს არ შევაწუხებდი, ბოლოში ლადარია, მორიგ მკრეხელობას რომ არ სჩადიოდეს და საქართველოს თანამდევ უკვდავ სულს არ აწუხებდეს.

საკმაოდ უაზრო ფრაზების კორიანტელში იგი ილია ჭავჭავაძეს ასეთ ირონიას აკადრებს:

„ცხოვრება არ არის **განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების სკოლა** (სტილი დაცულია, ხაზგასმა ჩემია — **ავტ.**), სადაც საჩენათელი სათვალიანი მასწავლებელი რიგრიგობით წევს მაღლა ფერად სურათებს — „აბა, ბავშვებო, ვინ ახატია აქ?“ — და ბავშვებიც ერთხმად და დამარცვლით უპასუხებენ: „მღვდელი“, „ლი-ბე-რა-ლი“. ცხოვრება ბევრად უფრო რთულია და საინტერესო. ეს ბობოქარი და მოულოდნელობებით აღსავსე ნაკადია, რომელშიც **ერთი „ბურთივით მრგვალი“ ლიბერალი უკვე შემოსა ეკლესიამ წმინდანის შარავანდედით,** და სადაც აუცილებლად დგება წამი, როცა მღვდელი უნდა ჩაეჭიდოს დასახმარებლად გამოწვდილ ლიბერალის ხელს“.

აი, ასეთი მკრეხელური აზრების ასაკრეფად გაუწვდია წმინდანის გამომეტყველების მქონე ლადარიას ხელი ანგელოზისფრთებიანი კომპიუტერისკენ.

* * *

ეს ლადარია საქართველოს „ლადარიაში“ ერგო — იხუმრა ამას წინათ ბატონმა **ჯანსუღ ჩარკვიანმა.**

ესეც, რა თქმა უნდა, მწარე ხუმრობაა.

და: ვაი ჩვენი სამშობლოს ბრალი ამნაირების ხელში!..

**იოსებ ჭუმბურიძე**

## უსტერეოტიპო ამერიკა

# ქარბორბალამ სილიკონის ველსაც გადაუარა...

**(მესამე გვერდიდან)**

სამაგიეროდ ევროპული წარმოშობის, ეკოლოგიური, პატარა „სმართ ქარ“ (საზრიანი მანქანა) უკვე გამოჩნდა აშშ-ის საავტომობილო ბაზარზე. 2008 წლის იანვარში მისი პრეზენტაცია ნიუ-იორკში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში შედგა.

2007 წელს ამერიკის ენერგოსისტემაში შემდეგი ბალანსი არსებობდა: ნავთობი — 40 პროცენტი, ქვანახშირი — 23, ატომური ენერგია — 8, ბიოსაწვავი — 3,3, ჰიდროენერგია — 3, მზისა და ქარის -0,4, გეოთერმული წყლები — 0,3. ბოლო 18 წლის განმავლობაში ნავთობის მოპოვება ამერიკაში ლამის 25 პროცენტით შემცირდა, სამაგიეროდ იმპორტის წილმა იმატა. ნიუ-იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც 2015 წლისთვის ამ ქალაქში მოხმარებული ენერგიის 10 პროცენტი აღდგენითი ენერგიის იქნება. აშშ-ში მოქმედ 104 ატომურ ელექტროსადგურს უახლოეს და შორეულ მომავალში კიდევ 32 შეემატება, რაც ენერგიის ღირებულების მაქსიმალურად გაიაფებას გამოიწვევს.

ამერიკაში „სუფთა“ ქვანახშირის გამომუშავების ტექნოლოგიის ძიება 1990 - იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ისევე როგორც სხვაგან, ქვანახშირი ამერიკელი მეშახტეების შავი ფილტვების, ინვალიდობისა და სიკვდილის მთავარი მიზეზია, ხოლო შავი ოქროს წვის პროდუქტი ნახშირორჟანგი — გლობალური დათბობის. ამერიკული ქვანახშირის მთები - აპალაჩები — დიდი ტბიდან ვიდრე მექსიკის ყურემდეა გადაჭიმული. იგი ამერიკელი მეშახტეების სამშობლოა, ხოლო ვირჯინია და კენტუკი ყველაზე ნახშირიანი შტატები, სადაც „პროლეტარიატის“ ფილტვები შავი მტვრითაა გაჟღენთილი. მათ სასუნთქ ორგანოში შავი მტვერი ოქროდ აღარ ფასობს. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ამერიკული ნახშირი და მეშახტეები ქვეყნის არსებობას, ანუ შუქსა და სითბოს უზრუნველყოფდნენ. ახლა კი ამ სფეროს ხალხი უალრესად ღარიბია. არავინ იცის რა იქნება მათი შემოსავლის წყარო, როცა ქვანახშირს ქარი, მზე და სიმინდი ჩაანაცვლებს. ზოგიერთ აპალაჩელს სახლში დღესაც არა აქვს გათბობა, ტელეფონი და ტელევიზორი. სხვათა შორის, 2009 წლის ზაფხულში აშშ-ში სატელევიზიო მომსახურება შეუწყდებათ იმათ, ვინც სატელიტურ/ციფრულ სატელევიზო კომპანიებთან ხელშეკრულებას არ გააფორმებს, თუმცა იმ ერთსართულიან ამერიკაში, სადაც საინტერნეტო კი არა, სატელეფონო ქსელიც არაა გაყვანილი, დიდად ვერ იგრძნობენ ამგვარ „დანაკლისს“.

აპალაჩების მეშახტეთა ლამის 99 პროცენტს სილიკოზი აქვს. აქ 30-40-50 წლის ასაკის მამაკაცები უკვე დაავადებული ფილტვებით ცხოვრობენ, ქუჩაში ზურგჩანთაში ჟანგბადის ბალონით მოსიარულეებს მრავლად შეხვდებით. კენტუკისა და ვირჯინიაში მეშახტეთა სიკვდილიანობა 4-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე სხვა შტატებში. ყოველ წელიწადს აშშ-ის მაღაროებში ათობით მუშა იღუპება, მაგრამ უფრო მეტს - სილიკოზი ასამარებს. ამ საქმეში პროფკავშირებიც დიდად ვერაფერს ახერხებენ. შავი ფილტვი — პროფესიული დაავადებაა.

ჰოლივუდმა და გლამურმა ამერიკის ცხოვრების წესზე მყარი სტერეოტიპები ჩამოაყალიბა. მაგრამ ჭეშმარიტი ამერიკა არაა მხოლოდ Empire State Building ანდა კოლაჟი ფილმებიდან „Pretty Women“ ან „Sex in the City“. ამერიკა ტარაკნებიან (არა სიბინძურის, არამედ ძალიან ძველი მილების გამო) ძველ სახლებში მცხოვრები ხალხია, რომლებიც დილის 3 საათზე დგებიან, რათა სამსახურში 9 საათზე გამოცხადდნენ, ვერ ყიდულობენ „ორგანიკ“ (კარგი ხარისხის) საკვებს, 3-დოლარიანი ტანსაცმლითაც კმაყოფილდებიან და ბაჰამის კუნძულების შესახებ კი სმენიათ, მაგრამ მონახულებას ვერასოდეს რისკავენ. 27 იანვარს კალიფორნიაში მას მერე, რაც 5 შვილის შავკანიანმა მშობლებმა სამსახური დაკარგეს, აფექტის მდგომარეობაში კაცმა ცოლი, ხუთივე შვილი მოკლა და მერე თავი მოიკლა. იმავე დღეს იმავე შტატში სამყაროს 8 აფრო-ამერიკელი ტყუპისცალი მოევლინა, ხოლო რამდენიმე დღით ადრე მაყურებელმა ტელევიზიით გაიცნო 18 ლვიძლი შვილის დედა, კავკასიური რასის (ასე უწოდებენ თეთრკანიანებს) და მისი შეძლებული მეუღლე, რომლებიც ბედნიერებას ასხივებდნენ...

ბარაკ ობამას საპრეზიდენტო პროგრამა დემოგრაფიული აფეთქების სტიმულირების პუნქტს არ შეიცავდა, მაგრამ მისი ადმინისტრაცია უკვე შეუდგა „სუფთა ფილტვების“ პროექტის განხორციელებას, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობასთან უშუალო კავშირი აქვს. ქვანახშირის ახალი ტექნოლოგიური ხაზები ნახშირს სინთეტურ გაზად გადააქცევს, რომელიც გარემოსთვის უვნებელია, ხოლო მისი ნარჩენი შლაკი ასფალტის დასაგებად გამოიყენება. რასაკვირველია, ამ ტექნოლოგიაში გადამუშავების „მწვანე სტანდარტების“ დაცვაც შედის. ობამას დირექტივით გამკაცრდება კონტროლი მანქანის გამონაბოლქვზე, ხოლო ამერიკულმა მანქანათწარმოების ინდუსტრიამ 2011 წლისთვის ახალი, ეკონომიური და თანაც მწვანე შინაარსი უნდა გაითავისოს. უახლოესი დროის სტრატეგიად გამოცხადდა უცხოურ ნავთობისაგან მაქსიმალური დამოუკიდებლობა, რაც ენერგეტიკული თავისუფლების გარდა ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვით მილიონ სამუშაო ადგილსაც შექმნის.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. აშშ.**

## ◉ ვითხოვ სიტყვას!

(მეხუთე გვერდიდან)

ამ პროცესის დაწყებაა აუცილებელი. აუცილებელია იდეოლოგიაზე, მორალურ და ზნეობრივ პრინციპებზე, სამშობლოს მოვლაზე და სიყვარულზე არა ფიქრი, არამედ შრომა, გარჯა, მაგალითების მიცემა, ცოდნაა საჭირო, ყოველივე ეს ერთბაშად ქუჩაში არ ისწავლება, სკოლა და სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს... ვინ უნდა ითავოს ეს საქმე? ვინ უნდა მისცეს მაგალითი ხალხს სამართლიანად ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნებისა? მართლაც რომ საკითხავია!

კაცობრიობის ისტორიამ მრავალჯერ დაგვიმტკიცა პიროვნებათა როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული განვითარების პროცესში. ამის მაგალითად ევროპაში და ამერიკაში წასვლა არ დაგვჭირდება, ჩვენი ქვეყნის ისტორიული მაგალითებიც კი საკმარისია. გვყავდა კარგი, ნიჭიერი და ჭკვიანი მეფე? — მაშინ კარგად იყო ქვეყნის საქმეც. წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი ადვილად გვერეოდა და ადვილად გვამარცხებდა... ვერ დავივიწყებთ იმ საზოგადო მოღვაწეებსაც, მწერლებს, პოეტებს, ხელოვნების დამსახურებულ პირებს, რომლებიც თავიანთი მოქალაქეობრივი აზროვნებით, აქტიური მუშაობით, მართალი, პატიოსანი და ღირსეული ცხოვრებით, საქვეყნო საქმეების კეთებით ხელს უწყობდნენ საზოგადოების მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბებას. ამ მხრივ, ქართველი ხალხისათვის სამარადჟამოდ სადიდებელია ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქის თვალსაჩინო მოღვაწენი. მართლაც რომ მოღვაწენი! ისინი ახალი ფორმაციის მოსვლას ან არსებული მთავრობის მოწყალებას როდი ელოდნენ, არამედ თვითონვე ტრიალებდნენ ხალხშიც და, თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, იმ დროის არასასურველ, არაქართულ მთავრობაშიც. საოცარი რუდუნებით და ღვაწლით ქმნიდნენ საჭირო საზოგადოებებს და ძალიან სათუთად და ფაქიზად ძერწავდნენ მომავალი საქართველოს სახელმწიფო მოდელს.

 აი ასეთი მოღვაწენი გვაკლია. ვინ იცის, იქნებ გვყავანან კიდევაც, მაგრამ იმ ბრბოს გამოისობით (ბრბოში, სამწუხაროდ, ინტელიგენციის ფორმა რომ აქვთ, იმათი დიდი ნაწილიც მოიაზრება!ძ ხელფეხშეკრულნი არიან. იჩაგრება არა მხოლოდ დათრგუნული ინტელიგენცია, არამედ ზარალდება ხალხიც, რომელსაც მათთან ურთიერთობა აკლია. აკლია იმიტომ, რომ ინტელიგენტურ ფორმამორგებულებს თავისი დინასტია მყარად აქვთ ჩამოსხმულ-ჩამოდულაბებული და შედეგად მხოლოდ ისინი ჩანან სარბიელზე ხმის უფლებით. სულ სხვა დროა და სულ სხვა ეპოქა. ძნელად გასარღვევი ჯაჭვით შემოფარგლული, ცბიერი, ქართული ეპოქა XXI საუკუნის დასაწყისისა, ხალხთან მისვლა და ნამდვილი სიტყვის თქმაც რომ გაძნელებულა იმათთვის, ვისაც ნამდვილად ეთქმის!..

ერთი სიტყვით, ჩვენი საზრუნავი და კითხვა იმის შესახებ, ვინ იმუშაოს და იღვაწოს ხალხთან, რომ ის სწორ გზაზე დააყენოს, მოქალაქეობრივი აზროვნების ცეცხლი გაუჩაღოს, მგონი უპასუხოდ გვრჩება, ეს ისეთი საქმეა, რასაც დიდი შეგნების, უნარის, ნიჭის, განათლებისა და მამულის სიყვარულის გარდა ისიც სჭირდება, რის უმისოდაც ნებისმიერ ქვეყანაში, მით უფრო დღევანდელ საქართველოში ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. ეს ფულია!

შავად ნაშოვი ქონების გათეთრებაში „ილაჯგაწყვეტილ“ ჩვენს მდიდრებს (ყოველ შემთხვევაში, მათ დიდ ნაწილსძ ნამდვილად ვერ მივანდობთ ამ კეთილშობილურ საქმეს. ფული — კი, მაგრამ, გული და კიდევ ბევრი სხვაც არ ეყოფათ და იმიტომ. მაშ, ინტელიგენციას? (ევალება კიდეც!ძ, მაგრამ, როგორც ვთქვით, ნამდვილი ინტელიგენცია ყალბმა გადაფარა, დაჩაგრა. ასე რომ, მიზეზთა გამო მათ (ყალბსაც და ნამდვილსაცძ ხალხისთვის არ სცალიათ. ყველაფერი ეს დღევანდელი საქართველოს მთავრობის წისქვილზე ასხამს წყალს: როგორც ჩვენი ცხოვრების პოლიტიკური და სოციალური მოვლენებიდან გამოიკვეთა, სიბნელეში და სიდუხჭირეში მყოფი ხალხის მართვა უფრო ადვილია და იმიტომ....

პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები... რას ვიტყვით მათზე?

ვმსჯელობთ, რომ იქნებ სადღაც ჭეშმარიტებამდე მივიდეთ, იქნებ მივაგნოთ ჩვენი ქვეყნის უფსკრულის პირამდე მისვლის და ხალხის ინერტულობის მიზეზს.

პოლიტიკური პარტიების სიმრავლე თავდაყირა აყენებს იმ ლოგიკას, რომელსაც ახლა მივყვებოდი. თუ ხალხი ინერტულია, ამდენი პოლიტიკური პარტია თავად ამ ხალხში როგორ წარმოიშვა? უცნაურია ქართველი ხალხის ბუნება, პოლარიზმი, რადიკალიზმი, ლოიალობა თუ ლიბერალიზმი ერთმანეთშია არეული. არაფერია ჩვენს ხასიათებში გასაკვირი. ბევრ ქართველ მწერალს უფიქრია ამაზე, მათ შორის ჩვენს საყვარელ გურამ დოჩანაშვილსაც („ხორუმიც ქართული ცეკვააა“ძ. ძნელია გადაჭრით თქმა ვინა ვართ ჩვენ. ერთი კი ფაქტია: ამ საუკუნის ქართველები მართლაც დავძაბუნდით. საკუთარი სამშობლო თავზე დავინგრიეთ, ბევრი რამ წავაგეთ და საქმის გამოსწორების ნაცვლად სხვის მიწაზე გადაბარგების იდეით განვიმსჭვალეთ. პოლიტიკური პარტიები კი მართლაც იმდენი გვყავს, ოთხმილიონიანს კი არადა, მილიარდიან ქვეყანასაც გასწვდებოდა ალბათ, ჩვენს ოთხ მილიონს კი ვერაფრით ვერ უშველეს, ერთი ნაბიჯიც კი ვერ გადაადგმევინეს წინ! შეიძლება იმიტომ, რომ ამ პარტიების ლიდერებმა თავი ხალხისაგან გამოიყვეს მხოლოდ საკუთარი პიროვნების სრულფასოვნების დასამკვიდრებლად, არც თუ ისე საამაყო ამბიციების გამოისობით და არა ხალხის სულიერი და მორალური გაჯანსაღების, მათი გააქტიურების და სამოქალაქო საზოგადოებად ქცევის მიზნით. პარტიებმა თავი გამოიყვეს ხალხისაგან (თუ ბრბოსაგანძ, დადგნენ მათთან ერთად კი არა, მათზე ზემოთ და არ იციან როგორ შეკრან ხალხი და წარუძღვნენ წინ სამართლიანი ცხოვრების მოსაპოვებლად. ამ პარტიებში ბევრი ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ სამწუხაროდ, ხალხთან მუშაობის ფორმები, მეთოდები, პრინციპები არც ერთ მათგანს არ გააჩნია. მხოლოდ საარჩევნო კამპანიების წინ მკვეთრი შეძახილები ხალხის თვითშეგნებაზე ვერ იმუშავებს. ვერც სატელევიზიო პოლიტშოუებში მთავრობის ლანძღვა-გინებით მიიღწევა სასურველი შედეგი. ხალხთან სერიოზული მუშაობაა საჭირო, რომ იგი მართლაც ბრბოდ არ დარჩეს და იქცეს თავისუფალი და დამოუკიდებელი სამშობლოს მშენებელ საზოგადოებად!

# საზოგადოება: ხალხი თუ... ბრბო?

**გულნარა სტურუა**

# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს

## შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული „სადგურ ტყიბულის“ შენობაში 16.83 კვ.მ ფართის დროებით სარგებლობაში, კონკურსის ფორმით იჯარით გაცემის შესახებ

### საკონკურსო პირობები

**1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:**

• **საიჯარო ქონების იურიდიული მისამართი – ტყიბული (სადგური ტყიბული)**

• **იჯარით გასაცემი ფართი –16,83 კვ.მ**

• **ფართის საწყისი საიჯარო ქირა თვეში 250 ლარი** (დღგ-ს ჩათვლით)

• **„ბე” -250 ლარი.**

• **იჯარის ვადა -5 წელი**

• **განაცხადების მიღების ადგილი** – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ: 563348; 566510;

• **განაცხადების მიღების ვადა** – 2009 წლის 4 თებერვლიდან 2009 წლის 4 მარტის ჩათვლით, 12:00 საათიდან 17:00 საათამდე.

• **კონკურსის ჩატარების თარიღი** (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი), ადგილი და დრო – 2009 წლის 5 მარტი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14:00 საათი.

• **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** – „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა№3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.

• **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**2. კონკურსის პირობები**

• მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.

• მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარიული ნორმების დაცვა.

• ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა;

• იჯარით აღებულ ფართზე კომუნალურ გადასახადებსა და დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე;

• შპს „საქართველოს რკინიგზის“ დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოს, საკუთარი მიზნებისთვის ესაჭიროება საიჯარო ფართი, მოიჯარე ვალდებულია გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაანთავისუფლოს აღნიშნული ფართი.

**3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები**

• საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

**4. იჯარის ხელშეკრულების დადება**

• კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება.

• მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში, იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

• სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ყოველთვიური საიჯარო ქირის 1.0%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

• თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

**5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**

• დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

• კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის (მითითებით) სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).

• „ბე“-ს გადახდის ქვითარი („ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

• კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

• იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

• კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

• კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.

• გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

• კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

**6. შენიშვნები და დათქმები**

• მოიჯარეს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო თვის ანგარიშსწორებისას.

• დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.

• განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

• თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.

**დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.**

**საკონტაქტო ტელეფონები: 56-33-48, 56-65-10.**

დამტკიცებულია შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის" 2009 წლის 4 თებერვლის პარტნიორთა კრების ოქმით

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის"

# დებულება

**მუხლი 1. დებულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი – შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი".

1.2 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე – შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის" დირექტორი;

1.3 არბიტრი – შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის" დირექტორის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დანიშნული პირი, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს მხარეთა შორის წამოჭრილი დავა.

1.4 საარბიტრაჟო კოლეგია – კონკრეტული საქმის განმხილველი არბიტრი, ან არბიტრთა სამწევრიანი შემადგენლობა.

1.5 საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარე – საქმის განმხილველი არბიტრი ან სამწევრიანი საარბიტრაჟო კოლეგიის წევრთა მიერ სხდომის თავმჯდომარედ არჩეული პირი.

1.6 კანონი – „კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონი.

1.7 კანონმდებლობა – საქართველოს კანონმდებლობა.

1.8 დავა – ქონებრივი დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა ან დაექვემდებარა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს.

1.9 მხარეები – პრეტენდენტი (საარბიტრაჟო პრეტენზიის აღმძვრელი პირი) და მოპასუხე (რომელმაც პასუხი უნდა აგოს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე).

1.10 მესამე პირი – მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით საქმეში ჩართული დაინტერესებული პირი, რომლის უფლება-მოვალეობებსაც შეიძლება რომ შეეხოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება.

1.11 მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით – დაინტერესებული პირი, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ საარბიტრაჟო პრეტენზიას დავის საგანზე და რომელიც სარგებლობს ამ დებულებითა და „კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით პრეტენდენტისათვის მინიჭებული ყველა უფლებებით და ეკისრება ყველა მოვალეობა, რაც გათვალისწინებულია პრეტენდენტისათვის.

1.12 მტკიცებულება – ნებისმიერი მონაცემი (წერილობითი, ზეპირი და სხვა.), რომლებზეც მხარეები და მესამე პირები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს.

1.13 საარბიტრაჟო განხილვა – არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვა.

1.14 საარბიტრაჟო შეთანხმება – მხარეთა შორის არსებული წერილობითი შეთანხმება, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის საარბიტრაჟო წესით განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ. ამასთან, საარბიტრაჟო შეთანხმების, როგორც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილის ნამდვილობა დამოკიდებული არ არის თვით ამ ხელშეკრულების ან მისი კონკრეტული ნაწილის (ნაწილების) ნამდვილობაზე.

1.15 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები – არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები;

1.16 არბიტრაჟის ხარჯები – საარბიტრაჟო მოსაკრებელი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით და დავის განხილვასთან, აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები;

1.17 არბიტრაჟის გარეშე ხარჯები – ადვოკატისათვის, მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე საქმის განხილვისათვის მხარეთა მიერ გაწეული სხვა აუცილებელი ხარჯები;

1.18 დებულება – შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის" დებულება.

1.19 რეგისტრატორი – საქმის განხილვის მიმდინარეობისას სხდომის ოქმის შემდგენელი პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით ინიშნება შპს 'დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლოს" დირექტორის მიერ.

**მუხლი 2. ზოგადი დებულებანი**

2.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ხელშეკრულების მხარეთა შორის წამოჭრილ ქონებრივ დავებს განიხილავს „კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონითა და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესების მიხედვით.

2.2 მხარეთა წერილობითი შეთანხმება, რომელიც ადგენს დებულებით დადგენილი საქმის განხილვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის განსხვავებულ წესს, მუდმივმოქმედი არბიტრაჟისათვის სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეთანხმების უფლება მხარეებს მინიჭებული აქვთ კანონით.

2.3 დავის ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, არბიტრი (საარბიტრაჟო კოლეგია) უფლებამოსილია განახორციელოს „კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონით და ამ დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი პროცედურული მოქმედება.

2.4 მხარეები საქმის წარმოებას იწყებენ დებულებაში და „კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად მუდმივმოქმედ არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის გზით. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმე დაამთავრონ მორიგებით, პრეტენდენტს შეუძლია უარი თქვას პრეტენზიაზე, მოპასუხეს შეუძლია ცნოს საარბიტრაჟო პრეტენზია.

2.5 საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

2.6 საქმის გარემოებათა გამოსაკვლევად საარბიტრაჟო კოლეგიას შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

2.7 ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღების საკითხს, მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე წყვეტს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი.

2.8 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით წყვეტს ამ დავის განმხილველი არბიტრი (საარბიტრაჟო კოლეგია). მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის და უფლებამოსილების შესახებ, არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას) გამოაქვს ცალკე გადაწყვეტილება, რომლითაც საქმეს ცნობს დასაშვებად, იღებს განსახილველად და ნიშნავს არსებითად განხილვის თარიღს. საჭიროების შემთხვევაში არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას) შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

2.9 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ დავაზე თავისი კომპეტენციის ცნობის შემთხვევაში ეს დებულება განიხილება როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელი ნაწილი. დებულებით მოუწესრიგებელი (გაუთვალისწინებელი) პროცესუალური საკითხის გადაწყვეტის უფლება აქვს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას) თავისი ინიციატივით ან რომელიმე მხარის მიმართვის საფუძველზე.

2.10 თუ მხარეთა შორის არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება, რომ მათ შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა განიხილოს და გადაწყვიტოს არბიტრაჟმა, მიიჩნევა, რომ არბიტრაჟის კომპეტენციის ან უფლებამოსილების საკითხის გადასაწყვეტად ისინი არ მიმართავენ სასამართლოს ან სხვა ორგანოს.

2.11 მუდმივმოქმედ არბიტრაჟს ჰყავს შპს 'დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლოს" დირექტორის მიერ დანიშნული რეგისტრატორი, რომელიც საქმის განხილვის მიმდინარეობისას ადგენს სხდომის ოქმს.

**მუხლი 3. არბიტრაჟის შემადგენლობა.**

3.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის წევრებს (არბიტრებს) ნიშნავს შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის" დირექტორი თავისი ბრძანებით, რომელიც იმავდროულად მათთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.

3.2 არბიტრობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს „კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს. არბიტრად დანიშვნაზე იგი იძლევა წინასწარ წერილობით თანხმობას.

3.3 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი საქმეს განიხილავს ერთი არბიტრის მონაწილეობით, ან კოლეგიურად – სამი წევრის შემადგენლობით, რაც განისაზღვრება განსახილველი დავის სირთულის მიხედვით. საარბიტრაჟო კოლეგია, არაუგვიანეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას, ირჩევს საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარეს, ამასთან, თუ საარბიტრაჟო კოლეგიაში მონაწილეობს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, იგი იმავდროულად წარმოადგენს საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარეს.

3.4 არბიტრი (საარბიტრაჟო კოლეგია) თავისი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, „კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონითა და ამ დებულებით.

3.5 არბიტრის შეცვლის შემთხვევაში მის ნაცვლად დაინიშნება საარბიტრაჟო კოლეგიის ახალი წევრი.

**მუხლი 4. საქმის განხილვიდან არბიტრის აცილება**

4.1 საარბიტრაჟო კოლეგიის წევრები დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ მხარეთაგან და ნებისმიერ მესამე პირთაგან.

4.2 საქმეში მონაწილე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს არბიტრაჟის წევრის აცილება, თუკი არსებობს „კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ან სხვა გარემოებები, რომლებიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევენ არბიტრაჟის წევრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში, აგრეთვე, თუ არბიტრაჟის წევრი არ ფლობს საარბიტრაჟო განხილვის ენას.

4.3 მხარე, რომელსაც სურს არბიტრის აცილება, ვალდებულია ამის შესახებ წარადგინოს წერილობითი განცხადება 10 დღის ვადაში, იმ დღიდან, როდესაც მისთვის ეს გარემოება ცნობილი გახდა. თუ აცილება განუცხადეს არბიტრს, რომელიც ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, აცილების საკითხს წყვეტს თვითონ ეს არბიტრი. თუ აცილება განუცხადეს საარბიტრაჟო კოლეგიის ერთ-ერთ წევრს, აცილების საკითხს წყვეტენ დანარჩენი წევრები ასაცილებელი წევრის მონაწილეობის გარეშე. თუ აცილება განუცხადეს საარბიტრაჟო კოლეგიის მთელ შემადგენლობას ან მის უმრავლესობას, აცილების საკითხს წყვეტს საარბიტრაჟო კოლეგიის სრული შემადგენლობა. ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში არბიტრი (საარბიტრაჟო კოლეგია) ვალდებულია დააკმაყოფილოს არბიტრის (საარბიტრაჟო კოლეგიის) აცილების მოთხოვნა.

4.4 არბიტრი შეიძლება აცილებულ იქნეს თუ:

ა) პოლიტიკური თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურეა;

ბ) სასამართლო განაჩენით მსჯავრდებულია განზრახი დანაშაულის ჩადენაში და შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა;

გ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად ან წარმომადგენლად;

დ) არის მხარის ან მისი წარმომადგენლის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, და ან ძმა;

ე) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს;

ვ) თუ არსებობს სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევენ არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში.

4.5 მხარის განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული.

**მუხლი 5. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები, დავის საგნის ღირებულება**

5.1 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს შეადგენს არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები.

5.2 არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო მოსაკრებელი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით და დავის განხილვასთან, აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

5.3 არბიტრაჟის გარეშე ხარჯებს შეადგენს ადვოკატისათვის, მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე საქმის განხილვისათვის მხარეთა მიერ გაწეული სხვა აუცილებელი ხარჯები.

5.4 საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული საქმის განხილვასთან ან გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით გაწიოს რაიმე ხარჯი.

5.5 საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდა წარმოებს:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

ბ) შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

გ) მესამე პირის საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე;

დ) საარბიტრაჟო საჩივარზე გადაწყვეტილების განმარტების შესახებ;

ე) განცხადებაზე საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ;

ვ) საჩივარზე, პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ.

5.6 საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა ქონებრივ დავებში გამოითვლება დავის საგნის ღირებულებიდან შემდეგი ოდენობით, გარდა 5.5 მუხლის „დ" პუნქტისა:

ა) 10 000 ლარამდე დავის საგანზე – 500 ლარს დღგ-ს გარეშე;

ბ) 10 001-დან 100 000 ლარამდე დავის საგანზე – 500 ლარს მიმატებული 10 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 4% დღგ-ს გარეშე;

გ) 100 001-დან 500 000 ლარამდე დავის საგანზე – 4 100 ლარს მიმატებული 100 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 3% დღგ-ს გარეშე;

დ) 500 001-დან 1 000 000 ლარამდე დავის საგანზე – 16 100 ლარს მიმატებული 500 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 2% დღგ-ს გარეშე;

ე) 1 000 001 ლარის ზემოთ დავის საგანზე – 26 100 ლარს მიმატებული დავის საგნის 1% დღგ-ს გარეშე.

5.6.1 5.5 მუხლის „ე" პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაზე და ამავე მუხლის „ვ" პუნქტით გათვალისწინებულ საჩივარზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა გამოითვლება დავის საგნის ღირებულებიდან შემდეგი ოდენობით:

ა) 500 000 ლარამდე დავის საგანზე – 300 ლარს დღგ-ს გარეშე;

ბ) 500 001-დან ზემოთ დავის საგანზე – 500 ლარს დღგ-ს გარეშე.

5.7 5.5 მუხლის „დ" პუნქტით გათვალისწინებულ საჩივარზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს განსამარტავ საქმეზე გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 20%-ს დღგ-ს გარეშე.

5.8 5.6 მუხლით გათვალისწინებული მოსაკრებლის მინიმალური ოდენობა არის 500 ლარი დღგ-ს გარეშე, ხოლო მაქსიმალური – 35 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

5.9 პრეტენდენტი ვალდებულია საარბიტრაჟო პრეტენზიაში თვითონ განსაზღვროს დავის საგნის ღირებულება. თუ მის მიერ მითითებული ღირებულება არ შეესაბამება დავის საგნის რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს საარბიტრაჟო კოლეგია.

5.10 თუ ერთ პრეტენზიაში სხვადასხვა ვალდებულებიდან (ხელშეკრულებიდან) გამომდინარე რამდენიმე მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მოთხოვნისათვის ცალ-ცალკე და შესაბამისად ცალ-ცალკე დგინდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა.

5.11 დავის საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა საარბიტრაჟო პრეტენზია.

5.12 თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს საარბიტრაჟო კოლეგია, შემდეგ კი ხდება ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება ან დამატებით გადახდევინება.

5.13 დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია:

ა) სპეციალისტების, ექსპერტებისა და თარჯიმნისათვის გაწეული ხარჯები;

ბ) ადგილობრივი დათვალიერების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები;

გ) არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები;

დ) ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები.

5.14 „ა", „ბ" და „დ" პუნქტებით გათვალისწინებულ ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე. „გ" პუნქტით გათვალისწინებულ ხარჯები გადახდება წაგებულ მხარეს.

5.15 თუ მხარეთა შორის არ არის სხვაგვარი შეთანხმება, იმ მხარის მიერ გაწეული საარბიტრაჟო ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, დაეკისრება მეორე მხარეს. თუ საარბიტრაჟო პრეტენზია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ პრეტენდენტს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება პრეტენზიის იმ ნაწილის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

5.16 მხარეთა მორიგების შემთხვევაში პრეტენდენტს დაუბრუნდება საქმის განხილვისათვის წინასწარ გადახდილი ან შემდგომში გადასახდელი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 25%. საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში პრეტენდენტს დაუბრუნდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის 50%.

5.17 არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას), მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს საარბიტრაჟო მოსაკრებლის წინასწარი გადახდა.

**მუხლი 6. საარბიტრაჟო განხილვის საფუძველი და წესი**

6.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვის დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია, რომელიც უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და გადაეცეთ საქმის განმხილველ საარბიტრაჟო კოლეგიას. საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში. საარბიტრაჟო პრეტენზია და მასზე თანდართული საბუთები მუდმივმოქმედ არბიტრაჟს უნდა წარედგინოს იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მოპასუხე და მესამე პირიც (მათი არსებობის შემთხვევაში) არის საქმეში.

6.2 საარბიტრაჟო პრეტენზია უნდა შეიცავდეს:

ა) მხარეთა სრულ დასახელებას და მათ საცხოვრებელ (იურიდიულ) მისამართს;

ბ) დავის საგნის მოკლე აღწერას;

გ) პრეტენდენტის მოთხოვნას;

დ) პრეტენზიის ფასს;

ე) კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებზეც პრეტენდენტი ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ვ) მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ მითითებულ გარემოებებს;

ზ) არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტის შუამდგომლობებს.

6.3 საარბიტრაჟო პრეტენზიას უნდა დაერთოს ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელზეც ამყარებს პრეტენდენტი თავის მოთხოვნას და კავშირშია დავის საგანთან, ასევე საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

6.4 საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის იურიდიულ მისამართზე, ან თვით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილას.

6.5 საარბიტრაჟო განხილვის ენა არის ქართული. მხარეს, რომელიც არ ფლობს საარბიტრაჟო განხილვის ენას დაენიშნება თარჯიმანი, რომლის ხარჯებსაც გაიღებს თვითონ.

6.6 მუდმივმოქმედ არბიტრაჟში საქმეთა განხილვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით.

6.7 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სხდომები ღიაა. ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში სხდომა შეიძლება დაიხუროს. არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირად. არბიტრაჟს არ შეუძლია საქმე გადაწყვიტოს მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე თავს არიდებს ახსნა-განმარტების მიცემისათვის არბიტრაჟში გამოცხადებას.

**მუხლი 7. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფა**

7.1 პრეტენდენტს შეუძლია, როგორც პრეტენზიის აღძვრისას, ასევე, მის აღძვრამდე, განცხადებით მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია პრეტენდენტს საჭიროდ.

7.2 განცხადება პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ არბიტრაჟის მიერ განიხილება მოპასუხისათვის შეუტყობინებლად, არაუგვიანეს განცხადების შეტანიდან მეორე დღეს.

7.3. პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელშიც უნდა მიეთითოს თუ უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება იქნა გამოყენებული. გადაწყვეტილება ძალაში შედის და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

7.4 პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საარბიტრაჟო საჩივარი, რომელიც ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას. საჩივარი უნდა შეიცავდეს:

ა) პრეტენზიის უზრუნველსაყოფად გამოტანილი გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას;

ბ) მითითებას, თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს გადაწყვეტილება;

გ) გარემოებებს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს გადაწყვეტილება.

7.5 პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა შეადგენს სამ დღეს და ამ ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების მოპასუხისათვის გადაცემის დღიდან.

7.6 მხარის თხოვნით არბიტრაჟს შეუძლია პრეტენზიის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა.

7.7 ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ პრეტენზიის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ნაცვლად, პრეტენდენტის თანხმობის შემთხვევაში, მათ მიერ შერჩეულ სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანოს პრეტენდენტის მიერ მოთხოვნილი თანხა, ან პრეტენდენტს შესთავაზოს სხვა სახის უზრუნველყოფის ღონისძიება.

7.8 საკითხს, იმის შესახებ, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს არბიტრაჟი მოპასუხის შეუტყობინებლად.

7.9 უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:

ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;

ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;

გ) მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით;

დ) არბიტრაჟს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია პრეტენზიის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

7.10 არბიტრაჟს შეუძლია მოსთხოვოს პრეტენდენტს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

7.11 თუ პრეტენზიის უზრუნველსაყოფად დაშვებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ პრეტენდენტს უარი ეთქვა პრეტენზიაზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ არბიტრაჟმა გააუქმა უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რაც მას მიადგა პრეტენზიის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებებით.

**მუხლი 8. უზრუნველყოფა პრეტენზიის აღძვრამდე**

8.1 პრეტენდენტს შეუძლია პრეტენზიის აღძვრამდე განცხადებით მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც განიხილება მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

8.2 განცხადების დაკმაყოფილებისა და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში არბიტრაჟი ვალდებულია თავისი გადაწყვეტილებით, პრეტენდენტს დაუნიშნოს გონივრული ვადა საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანისათვის, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები და 10 დღეზე მეტი. თუ დანიშნულ ვადაში პრეტენდენტი საარბიტრაჟო პრეტენზიას არ შეიტანს, არბიტრაჟს უფლება აქვს თავისი ინიციატივით, ან მოპასუხის შუამდგომლობით გააუქმოს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

8.3 8.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მიუხედავად, პრეტენდენტს უფლება აქვს საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის დროს ასევე მოითხოვოს იგივე ან სხვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

**მუხლი 9. საარბიტრაჟო განხილვისათვის საქმის მომზადება**

9.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ვალდებულია საარბიტრაჟო პრეტენზია და მასზე თანდართული საბუთების ასლები გაუგზავნოს მოპასუხეს (მოპასუხეებს). აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება არბიტრაჟის დებულება.

9.2 მოპასუხეს უფლება აქვს საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან 5 დღის ვადაში მუდმივმოქმედ არბიტრაჟს წარუდგინოს შესაგებელი საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია ან განცხადება საარბიტრაჟო პრეტენზიის ცნობის შესახებ. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში მხარეს უფლება არ ერთმევა, რომ თავისი მოთხოვნა და პოზიცია დააყენოს საქმის არსებითად განხილვის დროს ახსნა-განმარტების ფორმით.

9.3 არბიტრაჟი ვალდებულია მხარეს უწყებით (წერილობითი შეტყობინებით), დეპეშით, ფაქსით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (რაზედაც შესაძლებელია დასტურის მიღება) აცნობოს საარბიტრაჟო განხილვის ყოველი სხდომის ჩატარების დრო და ადგილი (მისამართის მითითებით) სულ ცოტა 5 დღით ადრე. საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება შემცირდეს მხარეთა თანხმობით. წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდა ადრესატს პირადად ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ანდა იურიდიულ მისამართზე.

9.4 საარბიტრაჟო უწყება იგზავნება ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით. ადრესატისათვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს. არბიტრაჟს შეუძლია მხარის თანხმობით ხელზე მისცეს მას უწყება ან/და საარბიტრაჟო პრეტენზია (თანდართულ საბუთებთან ერთად) შესატყობინებელი ან გამოსაძახებელი პირისათვის ჩასაბარებლად. პირი, რომელსაც არბიტრაჟმა დაავალა უწყების და/ან საარბიტრაჟო პრეტენზიის (თანდართულ საბუთებთან ერთად) მიტანა, ვალდებულია დაუბრუნოს არბიტრაჟს მისი მეორე ეგზემპლიარი მიმღების ხელმოწერით.

9.5 თუ უწყების მიმტანმა ადრესატი ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას, უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ ისინიც არ იმყოფებიან ადგილზე, იმავე სახლში მცხოვრებ სახლის მფლობელს, დამქირავებელს, სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, თანამშრომელს ან სხვა პირს, რომელსაც შეუძლია უწყება გადასცეს ადრესატს. ასეთ შემთხვევაში, უწყების მეორე ეგზემპლარზე გარკვევით უნდა მიეთითოს, თუ ვის ჩაბარდა უწყება (სახელი, გვარი), აგრეთვე, ადრესატთან მისი დამოკიდებულება (მეუღლე, დედა, მამა, შვილი, მეზობელი და ა.შ).

9.6 თუ ადრესატი დროებით წასულია, უწყების ჩამბარებელმა პირმა უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღნიშნოს სად არის წასული ადრესატი და როდის მოელიან მის დაბრუნებას.

9.7 თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე პრეტენდენტი, მოპასუხე ან მესამე პირი, არბიტრაჟს შეუძლია ერთ-ერთ პრეტენდენტს, მოპასუხეს ან მესამე პირს დაავალოს უწყებისა და/ან საქმის სხვა მასალების ჩაბარება მის მხარეზე მონაწილე სხვა პირებისათვის გადასაცემად. პირი, რომელსაც ჩაბარდება უწყება და საქმის სხვა მასალები ვალდებულია გადასცეს შესაბამის ადრესატებს. ამ წესით უწყების ან საქმის სხვა მასალების ჩაბარება ნიშნავს შესაბამის მხარეს მონაწილე ყველა პირისათვის ჩაბარებას.

9.8 თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, ამის შესახებ უწყების მიმტანი აკეთებს სათანადო აღნიშვნას ან ადგენს აქტს ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ და უბრუნებს არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ითვლება ჩაბარებულად და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს საქმე.

9.9 თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, არბიტრაჟი უფლებამოსილია უწყება საჯარო შეტყობინების გზით გამოაქვეყნოს ბეჭდვით ორგანოში. ამ შემთხვევაში უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-5 დღეს და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს საქმე.

9.10 მხარეები და მათი წარმომადგენლები ვალდებულნი არიან აცნობონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობების უქონლობის შემთხვევაში უწყება იგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

9.11 იგივე წესით ხდება არბიტრაჟში მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების და თარჯიმნების მოწვევა.

9.12 არბიტრაჟს შეუძლია ნებაყოფლობით დაკითხოს მოწმეები და გამოითხოვოს მტკიცებულებები. მხარე, რომელმაც იშუამდგომლა მოწმის დაკითხვის შესახებ ვალდებულია უზრუნველყოს მისთვის უწყების ჩაბარება. თუ მოწმის გამოცხადება ან მტკიცებულების გამოთხოვა მხარემ ვერ შესძლო, არბიტრაჟს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოწმის გამოცხადების ან მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ.

9.13 არბიტრაჟს შეუძლია საქმის გარემოებათა გამოსაკვლევად, რისთვისაც საჭიროა სპეციალური ცოდნა, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით დანიშნოს ექსპერტიზა. არბიტრაჟის ინიციატივით დანიშნული ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებენ მხარეები თანაბრად, ხოლო მხარის შუამდგომლობით დანიშნული ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს თვითონ. არბიტრაჟის უარი ექსპერტის დანიშვნაზე უნდა დასაბუთდეს. ექსპერტის დასკვნა არბიტრაჟისათვის სავალდებულო არ არის გასაზიარებლად.

9.14 არბიტრაჟს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ.

9.15 თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 9.3-9.10 მუხლებით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება მისი დასწრების გარეშე.

9.16 თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება არცერთი მხარე არბიტრაჟი გამოიტანს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შესახებ.

**მუხლი 10. მხარეთა უფლებები**

10.1 მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ ,,კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

10.2 პრეტენდენტს უფლება აქვს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე შეცვალოს საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს საპრეტენზიო მოთხოვნების ოდენობა.

10.3 საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო სხდომის გადადება სხვა დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს 5 დღისა.

10.4 საარბიტრაჟო პრეტენზიის შეცვლად არ ჩაითვლება პრეტედენტის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიაში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

10.5 დაუშვებელია ისეთი ცვლილება, რაც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმებისა და ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებს.

10.6 მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე უფლებამისილი წარმომადგენლის მეშვეობით.

10.7 ადვოკატის წარმომადგენლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

10.8 ორგანიზაციის წარმომადგენლობა დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით.

10.9 ფიზიკური პირების წარმომადგენლობა დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით.

10.10 მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს არბიტრაჟს და წარმომადგენელს. მხარის მიერ წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებისა და საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონისა და დებულების შესაბამისად შესრულებილი ყველა მოქმედება ინარჩუნებს ძალას.

10.11 წარმომადგენელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც არბიტრაჟს, ისე თავის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში ან/და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი.

10.12 საარბიტრაჟო პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე პრეტენდენტის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;

ბ) საპრეტენზიო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;

გ) საპრეტენზიო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

10.13 თითოეული მხარე პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

10.14 თანამონაწილენი სარგებლობენ კანონით და დებულებით მხარეებისათვის მინიჭებული ყველა უფლებებით.

10.15 თანამონაწილეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო დავის (საქმის) წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ან/და მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.

10.16 თუ არბიტრაჟი საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია პრეტენდენტის თანხმობით, საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი პრეტენდენტი სათანადო პრეტენდენტით, თუ სათანადო პრეტენდენტსა და მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.

10.17 თუ სათანადო პრეტენდენტი არ არის თანახმა შეცვალოს არასათანადო პრეტენდენტი, ან არასათანადო პრეტენდენტი არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო პრეტენდენტით, არბიტრაჟი თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო პრეტენდენტს პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.

10.18 თუ შეცვლილ სათანადო პრეტენდენტსა და მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და მოპასუხე თანახმა არ არის მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრაჟი წყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას.

10.19 თუ საქმის განხილვისას არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის მიმართ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, მას შეუძლია შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, თუ პრეტენდენტსა და სათანადო მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.

10.20 თუ პრეტენდენტი არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, არბიტრაჟი თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის პრეტენდენტს საარბიტრაჟო პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.

10.21 თუ პრეტენდენტსა და სათანადო მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და სათანადო მოპასუხე არ არის თანახმა მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრაჟი წყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას.

**მუხლი 11. საქმის განხილვის გადადება, წარმოების შეჩერება**

11.1 საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს მხარის ორჯერ საპატიო გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას ადგილზე დათვალიერების ჩატარების შესახებ ან სხვა აუცილებლობისას. არბიტრაჟს შეუძლია არ დააკმაყოფილოს მხარის მოთხოვნა საქმის განხილვის გადადების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ამის საშუალებას არ იძლევა საქმის განხილვისათვის ,,კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვადა.

11.2 საარბიტრაჟო კოლეგია ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს;

ბ) თუ საქმის წარმოების დროს გაირკვევა, რომ ერთ-ერთი მხარე ქმედუუნაროა და მას არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი. საარბიტრაჟო განხილვა განახლდება კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ.

გ) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

დ) საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მოპასუხის ყოფნისას ან ასეთივე ნაწილებში მყოფი პრეტენდენტის თხოვნით. საქმის განხილვა განახლდება ამ გარემოების აღმოფხვრის შემდგომ.

ამ მუხლის ,,ა“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება საქმიდან გასული პირის უფლებამონაცვლის დადგენამდე, ხოლო ,,გ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

**მუხლი 12. საქმის წარმოების დამთავრება დავის არსებითად გადაწყვეტის გარეშე**

12.1 არბიტრაჟი, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

ა) არსებობს სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

ბ) პრეტენდენტმა უარი თქვა საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

გ) მხარეები მორიგდნენ;

დ) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი პირის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

12.2 არბიტრაჟი, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს საარბიტრაჟო პრეტენზიას, თუ:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზია დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება;

ბ) საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა პრეტენდენტი, ხოლო მოპასუხე თანახმაა საარბიტრაჟო პრეტენზია განუხილველად იქნეს დატოვებული;

გ) არც ერთი მხარე არ გამოცხადდა;

დ) სხვა არბიტრაჟის წარმოებაშია საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

ე) პრეტენდენტმა საარბიტრაჟო პრეტენზიაში არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი.

12.3 საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში პრეტენდენტს უფლება აქვს ხელახლა წარადგინოს საარბიტრაჟო პრეტენზია ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად.

**მუხლი 13. არბიტრაჟის გადაწყვეტილება**

13.1 არბიტრაჟის გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში. მხარეთა მორიგების შემთხვევაში არბიტრაჟის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს მორიგების აქტის წარდგენიდან 3 დღის ვადაში.

13.2 არბიტრაჟში გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით. არბიტრაჟის არც ერთ წევრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. არბიტრაჟის წევრს შეუძლია ჩამოაყალიბოს განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთვება საქმეს, მაგრამ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე.

13.3 გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

ა) გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადგილს, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას და საქმის განმხილველი საარბიტრაჟო კოლეგიის შემადგენლობას;

ბ) საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც არბიტრაჟი მოქმედებდა;

გ) მხარეთა დასახელებას;

დ) დავის საგანს;

ე) სამოტივაციო ნაწილს, მასში გადმოცემული იმ მოსაზრებებით, რომელთა საფუძველზეც არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება პირდაპირ ითვალისწინებს ასეთი სამოტივაციო ნაწილის არარსებობას;

ვ) არბიტრაჟის გადაწყვეტილებას (საარბიტრაჟო ხარჯის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების ჩათვლით);

ზ) გადაწყვეტილების აღსრულების ვადას;

თ) იმ არბიტრის ვინაობას, რომელმაც უარი განაცხადა გადაწყვეტილების ხელმოწერაზე ან რომელსაც გააჩნია განსხვავებული აზრი.

13.4 საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელს აწერს არბიტრაჟის ყველა წევრი. თუ არბიტრი უარს აცხადებს ხელის მოწერაზე, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თითო პირი უნდა გადაეცეთ მხარეებს და იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შედგა არბიტრაჟი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთათვის. გადაწყვეტილება არ შეიძლება მესამე პირს აკისრებდეს რაიმე ვალდებულების შესრულებას.

13.5 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არბიტრაჟი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

13.6 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ვალდებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები შეინახოს მათი მიღებიდან 20 წლის განმავლობაში.

**მუხლი 14. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და აღსრულება**

14.1 მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობისას, მხარეს უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე პუნქტის შინაარსის დაზუსტების მიზნით მოსთხოვოს არბიტრაჟს გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილის განმარტება.

14.2 არბიტრაჟი განმარტების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში იძლევა განმარტებას ან გამოაქვს გადაწყვეტილება განმარტებაზე უარის თქმის შესახებ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება წარმოადგენს განსამარტავი გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს.

14.3 მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს დაშვებული შეცდომის გასწორება, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს გაანგარიშებაში, ხელნაწერში ან ბეჭდვაში.

14.4 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ იქნა შესრულებული, აღსრულდება იძულებით არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. არბიტრაჟი სააღსრულებო ფურცელს გასცემს მხარის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მისი წარდგენიდან 5 დღის განმავლობაში.

14.5 სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მხარის სარჩელი და შეცვალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კანონმდებლობას;

ბ) დარღვეულია არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან ‘კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები;

გ) საქმესთან დაკავშირებით არბიტრაჟის წევრმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას ზეგავლენა არ მოუხდენია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე.

14.6 გასაჩივრების შემთხვევაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება. სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება, თუ ამან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მხარეს.

**მუხლი 15. დასკვნითი დებულებები**

15.1 ეს დებულება უნდა დამტკიცდეს შპს ,,საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის“ პარტნიორთა კრების მიერ და გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში. დებულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ასევე მოითხოვს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას და მის გამოქვეყნებას ბეჭდვით ორგანოში.

რაგბი



# ბორჯღალოსნები შაბათს იწყებენ

**შარშან საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ტიმ ლეინის ხელმძღვანელობით უპრობლემოდ სძლია პორტუგალიას, რუმინეთს, ესპანეთს, ჩეხეთს, რუსეთს და ევროპის ერთა თასიც მოიპოვა.**

ბორჯღალოსნები წლევანდელ სასტარტო შეხვედრას 7 თებერვალს გერმანიაში, ჰაიდელბერგში გამართავენ. ამავე დღეს ითამაშებენ ესპანეთი – რუმინეთი და პორტუგალია – რუსეთი. შეგახსენებთ, რომ თასის გათამაშების პირველი წრე შარშან ნოემბერში დაიწყო. რუსებმა შინ ესპანელებს სძლიეს 42:15, ხოლო ესპანელებმა, თავის მხრივ, გერმანელები დაამარცხეს 22:11.

ბორჯღალოსნები (დავით ზირაქაშვილი, გოდერძი შველიძე, ირაკლი ნატრიაშვილი, აქვსენტი გიორგაძე, დავით ხინჩაგაშვილი, სიმონ მაისურაძე, ილია ზედგინიძე, მამუკა გორგოძე, კახაბერ უჩავა, ლევან დათუნაშვილი, დიმიტრი ბასილაია, გიორგი ჩხაიძე, გია ლაბაძე, რატი ურუშაძე, ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ლაშა მალაღურაძე, დავით კაჭარავა, ირაკლი ჩხიკვაძე, ირაკლი გიორგაძე, ირაკლი მაჩხანელი, თედო ზიბზიბაძე, ოთარ ბარკალაია)ძ მომდევნო ორთაბრძოლას შინ 14 თებერვალს პორტუგალიასთან გამართავენ.

**გაუწყებთ დანარჩენი პაექრობების კალენდარს:**

**14 თებერვალი.** გერმანია – რუმინეთი.

**21 თებერვალი.** პორტუგალია – გერმანია.

**22 თებერვალი.** ესპანეთი – საქართველო, რუმინეთი – რუსეთი.

**14 მარტი.** საქართველო – რუმინეთი.

**15 მარტი.** პორტუგალია – ესპანეთი.

**21 მარტი.** რუმინეთი – პორტუგალია, რუსეთი – საქართველო.

**2 მაისი.** გერმანია – რუსეთი.

კალათბურთი

# უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძოლებენ

**გერმანიის ქალაქ ფრეისინგში სხვადასხვა ასაკის კალათბურთელთა ევროპის პირველობის წილისყრა გაიმართა. საგულისხმოა, რომ შარშან ახალგაზრდებმა და კადეტებმა A დივიზიონში ადგილი ვერ შეინარჩუნეს, ამიტომ წლეულს შესარჩევ ტურნირში (B დივიზიონი)ძ იასპარეზებენ.**

**ოცწლიანთა ნაკრები A ჯგუფში მოხვდა. პირველი ეტაპის შეხვედრებს მაკედონიის დედაქალაქი სკოპიე უმასპინძლებს:**

**16 ივლისი. საქართველო – პორტუგალია, შვედეთი – ლუქსემბურგი;**

**17 ივლისი. სლოვაკეთი – შვედეთი, ლუქსემბურგი – პორტუგალია;**

**18 ივლისი. საქართველო – ლუქსემბურგი, პორტუგალია – სლოვაკეთი;**

**19 ივლისი. შვედეთი – პორტუგალია, საქართველო – სლოვაკეთი;**

**20 ივლისი. საქართველო – შვედეთი, ლუქსემბურგი – სლოვაკეთი.**



თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო მომდევნო ეტაპზე გადის. იქ ორი ფინალისტი კი 2010 წლის ევროპის პირველობის A დივიზიონში ითამაშებს.

მსგავსი სისტემით წარიმართება 18 წლის კალათბურთელთა პირველობა B დივიზიონში. მატჩები ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება. გაუწყებთ C ჯგუფის შეხვედრათა კალენდარს:

**23 ივლისი. საქართველო – შოტლანდია, მონტენეგრო – ჰოლანდია,**

**24 ივლისი. რუმინეთი – მონტენეგრო, ჰოლანდია – შოტლანდია,**

**25 ივლისი. საქართველო – ჰოლანდია, შოტლანდია – რუმინეთი,**

**26 ივლისი. მონტენეგრო – შოტლანდია, საქართველო – რუმინეთი,**

**27 ივლისი. საქართველო – მონტენეგრო, ჰოლანდია – რუმინეთი.**

პორტუგალიის კუნძულ მადეირაზე ითამაშებენ 16-წლიანები. საქართველოს ნაკრებს A ჯგუფში მეტოქეებად ეყოლება ფინეთი, ინგლისი, ირლანდია და დანია:

**6 აგვისტო. ინგლისი – დანია, ირლანდია – საქართველო;**

**7 აგვისტო. ფინეთი – ირლანდია, საქართველო – ინგლისი;**

**8 აგვისტო. საქართველო – დანია, ინგლისი – ფინეთი;**

**9 აგვისტო. ირლანდია – ინგლისი, ფინეთი – დანია;**

**10 აგვისტო. საქართველო – ფინეთი, დანია – ირლანდია.**

იმედია, საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ყველაფერს გააკეთებენ უმაღლეს ეშელონში გადასასვლელად.

კრიმინალი

# რა მოელის გვასალიას?



**თავიდანვე შეგახსენებთ, რომ რუსეთის სახელით მოასპარეზე მოკრივე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1993 წლის ევროპის ჩემპიონი და 1997 წლის მსოფლიო ვიცე-ჩემპიონი პაატა გვასალია დაადანაშაულეს 2003 წლის 11 აპრილს კამჩატკის პეტროპავლოვსკში სამორინე „პალადას“ დაწვაში, რამაც ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია, რისთვისაც მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.** ახლა, როგორც ცნობილი გახდა, რუსეთის ფედერაციის კამჩატკის მხარის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის გამოძიების სამმართველომ მოითხოვა უახლოეს ხანში გვასალიას საქმის გადასინჯვა ახალი გარემოებების გამოჩენის გამო, – ამას იტყობინება სააგენტო „მთელი სპორტი“.

როგორც იქაურ პროკურატურაში განაცხადეს, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურიდან მიიღეს შეტყობინება, რომლის მიხედვით ცნობილი გახდა, რომ პაატა გვასალიასა და მასთან ერთად მსჯავრდებულ სერგეი პეტროსოვის ადვოკატის ტატიანა აკიმცევას განცხადებით, გამოჩნდა მოწმე, რომელიც მზადაა, დაასახელოს ნამდვილი დამნაშავენი. შემდეგ დაკითხულმა მოწმემ განაცხადა, რომ მისი დავალებით მიმდინარეობს გამოძიება იმ პირების დასაზუსტებლად, ვინც ნამდვილად მონაწილეობდა ამ ბოროტმოქმედებაში, რის გამოც დაუსაბუთებლად დასჯილნი არიან გვასალია და პეტროსოვი. უკვე მოპოვებული მასალების მიხედვით, ამ დიდი დანაშაულის უშუალო შემსრულებლები და ორგანიზატორები სულ სხვა პირები იყვნენ.

ინტერნეტიდან

## ბრაიანტს ვინ შეწვდება?

**ნიუ-იორკში „მეისონ-სკვერ-გარდენის“ ჭერი კინაღამ აიწია, როდესაც „ლეიკერსის“ მცველმა კობი ბრაიანტმა „ნიუ-იორკის“ წინააღმდეგ დღემდე გაუგონარი 61 ქულა მოიხვეჭა. მან მოედანზე 37 წუთი დაჰყო. 31 ტყორცნიდან 19 ჩააგდო, აქედან 3 სამქულიანი, „გაანაღდა“ 20-ვე საჯარიმო, გააკეთა 3 გადაცემა და 1 ბლოკ-შოტი.**



იქამდე რეკორდი ეკუთვნოდა „სან-ანტონიოს“ გამთამაშებელ ტონი პარკერს – 5 ნოემბერს მან „მინესოტას“ 55 ქულა „წაგლიჯა“.

რაც მთავარია, „ნიკსთან“ შეხვედრაში ბრაიანტმა განაახლა მაიკლ ჯორდანის ადრინდელი რეკორდი.

შეხვედრა დამთავრდა 126:117 ბრაიანტის გუნდის სასარგებლოდ.

## სარეკორდო ტრანსფერი

**ინგლისის საფეხბურთო კლუბებს ხელი როდი შეუშალა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რათა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მოთამაშეთა შესაძენად სარეკორდო თანხა გაეღოთ. ყიდვა-გაყიდვის საერთო თანხა 170 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს, რაც 10 მილიონით მეტია შარშანდელ სარეკორდო ტრანსფერზე. სწორედ ასე გახდა შესაძლებელი, „არსენალს“ შეეძინა ანდრეი არშავინი, ხოლო „ტოტენჰემს“ – რობი კინი. არა მხოლოდ პრემიერ-ლიგაში, არამედ მთელს ევროპაში გამორჩეულად „დეზებმა“ ამ მიზნით 47 მილიონი გირვანქა „გაფლანგეს“ დეფოს, პალასიოსის, შიმბოდის, კუტირინისა და კინის შესაძენად.**



ყველაზე მეტად თავი გამოიჩინეს მილიარდერებმა „მანჩესტერ სიტიდან“ – 52 მილიონი გირვანქა, საიდანაც ყველაზე მეტი დე იონგისა და ბელამის შეძენაზე დაიხარჯა. აი, „ქალაქელებს“ კაკა რომ გადაებირებინათ, მაშინ საარაკო რეკორდს დაამყარებდნენ, თუმცა 100 მილიონითაც „ვერ მოხიბლეს“ მილანელი ბრაზილიელი.

ისიც აღსანიშნავია, რომ „დიდი ოთხეულის“ კლუბები, „არსენალის“ გარდა, ძალზე პასიურები იყვნენ ზამთარში.

## ბატონმა იაპონელს მიაგნო

**ავტორბოლის „ფორმულა-1“ პილოტმა ჯენსონ ბატონმა ახალი სატრფო გაიჩინა – იაპონელი მოდელი ჯესიკა მიჩიბატუ. პაპარაცებმა ამ წყვილს ლონდონის კლუბიდან „ნობუ“ გამოსვლისას გადაუღეს. თურმე ნუ იტყვით და... „ჯესიკა ბედნიერია... რატომ? ვერ გეტყვით... ეს საიდუმლოა!“ – ეს თავად მიჩიბატუს სიტყვებია.**

როგორც ამბობენ, ბატონი შარშან გაშორდა თავის ადრინდელ გულისვარდს ფლორენს ბრუდენელ-ბრიუსს, რომელსაც დიდხანს ეტრფოდა.

ჯესიკას დედა იაპონელია, მამა – არგენტინელი, სანახევროდ – ესპანელი, და კიდევ იტალიელი. ქალიშვილმა რამდენიმე ენა იცის, მათ შორის ინგლისური.



საღამო



# როცა მწერალი მომავალს ეკუთვნის...

## უნივერსიტეტში ოთარ ჩხეიძის სტიპენდია დაწესდა

**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია დაწესდა. ამ დღის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ ხაზი გაუსვა ოთარ ჩხეიძის დიდ დამსახურებას თავისუფალი სიტყვისა და ქართული მწერლობის წინაშე — „როდესაც იგი მოღვაწეობდა, მკაცრი ცენზურის პირობებში ძალიან ძნელი იყო კრიტიკა, მაგრამ ბატონმა ოთარმა ეს გამორჩეული ნიჭიერებით შეძლო“...**

მწერლის ნიჭზე, მის შემოქმედებასა და ღვაწლზე ილაპარაკა ლიტერატურათმცოდნე გიორგი გაჩეჩილაძემ, ვინც ხელმძღვანელობდა ოთარ ჩხეიძის სტიპენდიის მოსაპოვებლად შექმნილ კომისიას. ბატონმა გიორგიმ ოთარ ჩხეიძეს შემდეგი საუკუნის შემოქმედი უწოდა. მისი აზრით, ოთარ ჩხეიძის შემოქმედება ორ პერსონაჟზე ტრიალებს: საქართველოზე და ქართულ ენაზე. მწერალმა მკითხველს მსოფლიო კაცობრიული პრობლემების შესახებ ფიქრისთვის შესთავაზა საქართველო, როგორც პიროვნება. და მეორე — ის საიდუმლო, რასაც ატარებს ქართველი ხალხი თავის სულიერ ცხოვრებაში, მეტ-ნაკლებად ქართულ ენაშია გაბნეული, რაც ენას მწერლის შემოქმედებაში ზედროულ პერსონაჟად აქცევს.

ოთარ ჩხეიძე ის კაცი იყო, ვინც ამბობს, რომ პატარა ერის შვილს აკვნიდანვე დიდი ტვირთი ჰკიდია, — ეს რამაზ ქურდაძის სიტყვებია. ოთარ ჩხეიძე გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში საზღვარგარეთის ენისა და ლიტერატურის გამგე ბრძანდებოდა და სტუდენტებს საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურსს უკითხავდა. მწერლის მშობლიურ რაიონში — გორში სწორედ ოთარ ჩხეიძე იყო ლიტერატურული ცხოვრების სულისჩამდგმელი...

24 რომანის, პიესების, წერილებისა და ნოველების რამდენიმე კრებულის ავტორზე ბევრი ისაუბრეს: კობა იმედაშვილმა, ლია სტურუამ, მაკა ჯოხაძემ, კახა ლორიამ, ქეთევან შენგელიამ...

ჯანსულ ჩარკვიანმა კი ღიმილიანი სევდით გაიხსენა, ოთარ ჩხეიძის ერთი უცნაურობა — თუ როგორ დალია მან ქართული მწერლობის სადღეგრძელო... ღვინით სავსე სამელნით!..

სიტყვით გამოვიდნენ ოთარ ჩხეიძის სტიპენდიატები, უნივერსიტეტის მაგისტრანტები: გიორგი კეკელიძე, ანა კოპალიანი, ოქტაი ქაზუმოვი. ჩვენთვის ეს ჯილდო საამაყო და დიდი პასუხისმგებლობააო, განაცხადეს მაგისტრანტებმა...

იმ საღამოს ივანე ჯავახიშვილის დარბაზში შეკრებილთ კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ — როსტომ ჩხეიძის წიგნის „აგვისტოს შვილების“ (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე) წარდგინება. როსტომ ჩხეიძისთვის ამ ბიოგრაფიული რომანის შექმნის იდეა მამის დღიურებს შთაუგონებია, რომელსაც ოთარ ჩხეიძე 1965 წლიდან წერდა და ათას გვერდზე მეტია. „მამა რომ გარდაიცვალა, იმავე დღეს ბატონი კობა იმედაშვილი მობრძანდა და მითხრა, აუცილებლად უნდა დაიწეროს წიგნიო და სათაურიც მიკარნახა — „მამაჩემი ოთარ ჩხეიძე“... მაგრამ შემდეგ წიგნზე მუშაობისას 1924 წელი და აგვისტოს აჯანყება გამოიკვეთა. მამა, რეპრესირებული ოჯახის შვილი, იმ წლებიდან და ტრაგედიიდან მოდიოდა... ეს იყო არა მარტო ოთარ ჩხეიძის, არამედ იმ თაობების ტრაგედია, რომელიც 1924 წლის მღელვარებამ შობა“... განაცხადა როსტომ ჩხეიძემ.

ასე დასრულდა საღამო, რომელმაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა დიდებული რომანისტის, პროზაიკოსისა და ლიტერატორის მნიშვნელობა ჩვენი კულტურის საგანძურში. იმედია, მომავალი თაობა უფრო კარგად გაითავისებს ოთარ ჩხეიძის ღვაწლს და დამსახურებას, რომელიც უახლესი ქართული ისტორიის მხატვრული მემატიანეა და უწინარესად, მომავალს ეკუთვნის სიტყვა ოთარ ჩხეიძეზე.

**თამარ შაიშმელაშვილი**

კრიმინალი

# ნარკობიზნესმა არ იცის ომი და კონფლიქტური რეგიონები

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ საომარ მოქმედებებს და შემდგომ პერიოდს კარგად იყენებენ კრიმინალები, ათასი ჯურის თაღლითები. ასეა ჩვენშიც. შიდა ქართლი ჯერ კიდევ ომამდე წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნისთვის ნარკოტიკების მომწოდებელ ერთ-ერთ ძლიერ არხს. დაძაბულობა, ქაოსი, ნარკორეალიზატორებს სამუშაოდ იდეალურ პირობებს უქმნიდა. „ბარიგები“ ადვილად პოულობდნენ საერთო ენას მშვიდობისმყოფელებთან. ამ საქმეში მთლად წმინდანები არც ქართველი სამართალდამცავები იყვნენ. ნარკოდილერები იმ დონემდე იყვნენ გათავხედებულნი, რომ ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან შემოტანილ ნარკოტიკს პირდაპირ სამშვიდობოების საგუშაგოზე გადასცემდნენ მათთვის სანდო ქართველ გამსაღებელს.**

### გორში „C“ ჰეპატიტი და შიდსია მოდებული

**არც ისე დიდი ხნის წინათ, გორში გამოიცა ფალსიფიკატორების მიერ დამზადებული „ჯეფი“ და „ვინტი“. მაშინ „გამოცდამ“ მასობრივი ხასიათი მიიღო. ნარკოტიკებს სკოლის ბავშვებიც მიეძალნენ. ამის შემდეგ ორივე კუსტარული გზით ნაწარმოები და უამრავი მომწამვლავი ნივთიერებების შემცველი „ვინტი“ და „ჯეფი“ მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელდა.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ზიანის შემცირების ქსელის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი მონაცემებით გორისა და მიმდებარე რაიონების ტერიტორიებზე ნარკოტიკების ნაირსახეობაა. აქ შეხვდებით, როგორც „სუბუტექს“, „ჰეროინს“, „მეტადონს“, ასევე შავი ყაყაჩოს თესლს — „სირეცს“...

სპეციალისტებს, არასამთავრობოდან მიაჩნიათ, რომ გორი წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოში ნარკოტიკების გამანაწილებელ ბაზას. აქ შხამი შემოაქვთ როგორც რუსეთიდან, ასევე თურქეთიდან.

„ზიანის შემცირების ქსელის“ მიერ ჩატარებული კვლევებით, 2006 წელს გორში, ადგილობრივები ყველაზე ხშირად მოიხმარდნენ „სუბუტექსს“. 2007 წლის გაზაფხულიდან ფრანგულ პრეპარატს პოპულარობით გადაუსწრო პრეკურსირების შემცველმა „აქტიფელიმ“ იმავე წელს მოხმარების მაჩვენებლით მეორე ადგილზე გავიდა „თურქული სირეცის“ სახელწოდებით ცნობილი „ჰეროინი“. ის ყველაზე მეტად ქარელის რაიონშია გავრცელებული.

შემაშფოთებელ სტატისტიკას აქვეყნებენ არასამთავრობოს წარმომადგენლები. მათი მონაცემებით გორსა და მის ირგვლივ მყოფ რაიონებში ნარკოტიკების როგორც სისტემატური, ისე ერთჯერადი მომხმარებლების საერთო რაოდენობა 2500 კაცს აღწევს. მათგან 30 იყო სუსტი სქესის წარმომადგენელი.

2006-2007 წ.წ. გორში „შპრიცის გაცვლის პროგრამით“ მკურნალობა 250 პიროვნებას ჩაუტარდა, რომელთაგან 41 ქალია.

ისიც დადგინდა, რომ შიდა ქართლში ყველაზე გავრცელებულია „C“ ჰეპატიტი. ის შემოწმებულთა 83,5 პროცენტს აღმოაჩნდა. „B“ ჰეპატიტი დაუდგინდა 7,2 პროცენტს, ხოლო შიდსის ვირუსით თითქმის 6 პროცენტი აღმოჩნდა დაავადებული.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ნარკოტიკების სისტემატურ მომხმარებლებში: ისინი ტუბერკულოზით, ღვიძლის ციროზითა და სხვადასხვა ვენერიული სენით არიან დაავადებულნი. მიუხედავად ამისა, ისინი არ მკურნალობენ.

რაც შეეხება შარშანდელ მონაცემებს, კერძოდ რუსული აგრესიის შემდგომი პერიოდისას, მათი დადგენა ვერ მოხერხდა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გორის მოსახლეობას მისი ადმინისტრაცია და ადგილობრივი პოლიცია, ყოველმხრივ იცავს — ეშინიათ მართალმა ინფორმაციამ გორის მოსახლეობის ყოფითი პირობების შესახებ არ გაჟონოს. იქ დამოუკიდებელი კვლევების ჩატარება ჯერჯერობით შეუძლებელია.

**ზაზა ბილიხოძე**

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი აცხადებს საჯარო კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

**1. ენობრივი და სამეტყველო სისტემების განყოფილება**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული

**2. ინფორმაციის გარდაქმნის პრობლემების განყოფილება**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული

**ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:**

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ვ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

**ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასკვნის საფუძველზე ინსტიტუტის დირექტორი თანამდებობაზე არჩეულ პიროვნებას ნიშნავს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.**

**საბუთების მიღება იწარმოებს არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტში, მისამართი: მინდელის ქ. №10, IV სართული.**

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 22 თებერვალი, 16 სთ.**

**კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 26 თებერვალს.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

**ტელ: 31-58-67.**

**პასუხისმგებელი პირი**
**ნინო ჯავაშვილი**

ხსოვნა

# დაღლილი ფიქრები

## ვასო კუკანიას მოსაგონარი



ნათქვამია — დრო ყველაფერს კურნავსო. უმრავლეს შემთხვევაში ეს ასეა. არავინ არ იცის, ვინ როდის გავა ამ წუთისოფლიდან და შეუერთდება მარადისობას. იმ დღეს მეგობრები ვსაუბრობდით შენზე, მოგიგონეთ, მოგეფერეთ, ოღონდ ცრემლით და სევდით. უშენობამ დროც დაგვავიწყა, წარსული გააფერმკრთალა, მომავალი კი დაღლილი ფიქრებივით წარმოგვიდგინა. სწორედ რომ ფიქრებში, აზრებში, მოგონებებში არსებობ ჩვენთვის, ფიქრებში, რომელსაც დროც აღარ სჭირდება. შენმა წასვლამ შეცვალა, დაამწუხრა, დაამძიმა ჩემი ყოფა. იცოდე, არასოდეს მავიწყდები, ყოველთვის ჩემთან, ჩემს ფიქრებში ხარ. ვუყურებ შენს სურათს, ვათვალიერებ შენს წიგნებს, ვკითხულობ შენს ხელნაწერებს და გული მეკუმშება, სული მიმძიმდება — რატომ არ უნდა იყო ფიზიკურად ჩემს გვერდით, რატომ მიღალატე, დამტოვე, სიტყვაც არ გითქვამს თურმე სიკვდილის წინ. იქნებ არც გაგონდებოდი? ალბათ გეგონა, სიკვდილის შემოტევას გაუძლებდი, შენ ხომ სიცოცხლით ძლიერი, მუდამ შემართული იყავი. გახსოვს ალბათ, შენს გარდაცვალებამდე, ერთი თვით ადრე, შობას შევხვდით ერთმანეთს, ვიქეიფეთ. შემდგომ ტელეფონით თუ შემოგეხმიანებოდი, თორემ ფიზიკურად არც მინახიხარ. ცოცხალსაც ვერ ჩამოგისწარი. ალბათ როგორ გენატრებოდა შენი ორეულის დანახვა. ვინ იცის! ეს უკვე წარსულია, რომელსაც ვერ დააბრუნებ.

აი ამ ფიქრებით, აზრებით, რწმენით მოგეახლები ჩემო ძმაო, ენატრები ყველას, შენს ვაჟკაცებს, ოჯახს, მეც, ჩემს ოჯახს, შვილებს, რომელთაც შენ ასე უყვარდი. ამ განწყობით მოვდივარ შენთან, ჩემო ძმაო ვასიკო, სამი წლისთავზე კიდევ ერთხელ მოვეფერები შენს საფლავს, კიდევ ერთხელ მოვიგონებ მარადისობაში დამკვიდრებულ შენს უკვდავ სულს. ნახვამდის ჩემო ძმაო, ნახვამდის!

**ლექსო კუკანია ოჯახით**

გვწერენ

# მადლობა ექიმებს!

პატივცემულო რედაქცია!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს გაზეთში დასტამბოთ ჩემი ეს პატარა წერილი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის ცენტრალურ ტუბერკულოზის საავადმყოფოში მომიყვანეს გონდაკარგული. პროფესორ შორენა საბანიძის წყალობითა და ექიმ თინა ბაკურაძის უანგარო დახმარებით აი, უკვე ორი თვეა, რაც წარმატებით ვმკურნალობ. მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო მათ იმის გამო, რომ ჯანმრთელობა გამიუმჯობესდა, თავს კარგად ვგრძნობ. ამ საავადმყოფოს მედპერსონალის საქმიანობას რომ ვუყურებ, იმდენად კმაყოფილი ვარ, რომ მინდა ჩვენი ქვეყნის ყველა სამკურნალო დაწესებულების მედპერსონალი მისგან იღებდეს მაგალითს.

დიდი მადლობა მათ იმიტომ, რომ გულისყურითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს, ავადმყოფთა დროულად გამოჯანმრთელებას.

ღრმა პატივისცემით
**დილშატ აგაქიშიევა,**
დმანისის რაიონის სოფ. დალარის მცხოვრები.

რექლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

### დაიჯესტი



**მას შემდეგ, რაც კოლუმბმა ამერიკის კონტინენტზე პირველად დადგა ფეხი, ხუთ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა. ესპანელები იქ იმ ხალხებს გადააწყდნენ, ვისაც ჩამორჩენილებად მიიჩნევდნენ, თუმცა ინდიელთა მემკვიდრეობაში აღმოჩნდა ბევრი ისეთი რამ, რაც მეცნიერებს საფუძველს აძლევს ისინი ევროპულზე უფრო მაღალი ცივილიზაციის შთამომავლებად აღიარონ.**

## დიპლოდოკი მხედარს ელის

მექსიკის ქალაქ აკამბაროს მუზეუმში, რომლის მეპატრონეა ვალდემარ ჯულსრუდა, მცირე ქანდაკებებია დაცული — ესენია აღვირამოდებული პლეზიოზავრი; იგუანოდონთან მდგომი კაცი; გოგონა, რომელსაც ხელში ატატებული ჰყავს პატარა, მეტრის სიგრძის დიპლოდოკი... მუზეუმის მეპატრონის მიერ შეკრებილი 35 ათასი ქანდაკებიდან ორი ათასი გამოსახავს ადამიანის მიერ მოთვინიერებულ... მილიონობით წლის წინათ გადაშენებულ გიგანტურ რეპტილიებს! მუზეუმის დირექტორი დანიელ ლეპერი დარწმუნებულია, რომ, ზოგიერთი არქეოლოგის, პალეონტოლოგისა და ზოომორფოლოგის მტკიცების მიუხედავად, ხელოვნების ეს ნიმუშები ყალბი ნამდვილად არ არის. განა რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდოდა აზრად, ჯერ დაეხარჯა უზარმაზარი შრომა ქანდაკებების გამოსაძერწად, შემდეგ კი ისინი მიწაში ჩაეფლო, სადაც ისინი შემდგომ აღმოაჩინეს?

გასული საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე სენიორ ჯულსრუდას კოლექციის რამდენიმე ექსპონატი შეერთებული შტატების რამდენიმე უნივერსიტეტში გაგზავნეს ექსპერტიზაზე. შედეგი გასაოცარი იყო: ერთი ქანდაკება... ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 ათასწლეული შუა ხანით, მეორე — მე-3 ათასწლეულის დამდეგით, ხოლო მესამე — მე-3 ათასწლეულის მიწურულით დათარიღდა!

## გონიერი რეპტილიების ავტოპორტრეტები

იცოდნენ რა მომავალი ბუნებრივი კატასტროფის შესახებ, ამერიკის კონტინენტის აბორიგენებს (რომლებიც, როგორც ცნობილია, ჩინებულად იცნობდნენ ასტრონომიას), საკუთარი თავისა და გარემოს შესახებ ხსოვნის დატოვება სურდათ.

მეორე ჰიპოთეზის არსი ის გახლავთ, რომ ძველი მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრები განვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლები ფანტასტიკური არსებების გამოსაყვანად გენეტიკურ ექსპერიმენტებს აწარმოებდნენ.

დაბოლოს, სრულიად ფანტასტიკური ჰიპოთეზა: იქნებ ეს გიგანტური რეპტილიები... გონიერები იყვნენ და ამერიკის კონტინენტზე აგებული უძველესი მეგაპოლისები მათი ნახელავია?

რატომაც არა? მექსიკისა და მეზობელი ქვეყნების გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ კოლუმბამდელ ამერიკაში ინდიელთა გარდა აქ დედამიწაზე არსებული ყველა რასის წარმომადგენლები სახლობდნენ და იმდენად განვითარებულნი იყვნენ, რომ ქირურგიულ ოპერაციებს... თავის ტვინზეც კი აკეთებდნენ?!

უცხოური პრესის მიხედვით მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძემ**

### გვწერენ

# ვუშველოთ ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩებს!

**კარგია, რომ ქალაქში გზაჯვარედინებს აწესრიგებენ და ოპტიმალურ ვარიანტებს გვთავაზობენ, რადგან ტრანსპორტით გადაადგილება, კერძოდ მანქანებით გზის გაკვალვა დღითი დღე რთულდება.**

ამას წინათ შემზარავი ტრაგედია დატრიალდა შუაგულ ქალაქში, ბენზინმზიდი გადაბრუნდა და მიკროავტობუსში მჯდომი ორი ადამიანი იმსხვერპლა. კიდევ კარგი, დაღვრილი ბენზინი არ აალდა, თორემ ამ უბედურების მასშტაბი უფრო მეტი იქნებოდა. რით შეიძლებოდა ასეთი ტრაგედიის თავიდან აცილება?

ახლახან მსგავსი ტრაგედია დატრიალდა მოსკოვშიც, სადაც ბენზინმზიდი სამარშრუტო ავტობუსს შეეჯახა და ექვსი ადამიანი იმსხვერპლა. ამის შემდეგ მოსკოვის მერიამ გამოსცა განკარგულება, რომ ბენზინმზიდებით საწვავი მხოლოდ ღამის საათებში ეზიდათ, არსებობს გამოცდილება, რომელიც ქალაქში კრძალავს ასაფეთქებელ და აალებად ნივთიერებათა გადაადგილებას დღის საათებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია დიდი ქალაქების გამოცდილება, როდესაც ძირითადი კვების პროდუქტები ღამის საათებში შეაქვთ მაღაზიებში. შეგახსენებთ: რძეს, რძის პროდუქტებს მაღაზიებში დილის 6 საათზე იღებენ, წარმოიდგინეთ, დღეს თბილისში ათასამდე პურის საცხობია, რამდენიმე ხორცისა და ათობით სადისტრიბუციო კომპანიები ისედაც მანქანებით გადატვირთულ ქალაქს, სხვადასხვა ფირმების სატვირთო მანქანებით ავსებენ!



კვლავ უნდა დავამკვიდროთ ღამით საათებში პროდუქტების მიწოდების ტრადიცია, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ვიწრო ქუჩებია და ფეხით მოსიარულეთა გავლაც ჭირს. ამით ხელს შევუწყობთ ობიექტების ოპტიმიზაციას და სწორ დისლოკაციას. გაჩნდება სამუშაო ადგილები, — ღამის მიმღებები დასაქმდებიან. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს წარმოების ხელშეწყობაცაა, ამიტომ გამოცდილება ყოველმხრივ მისაღები და გასათვალისწინებელია.

**მალხაზ დოლიძე,**
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ინჟინერი.

**რეკლამა**
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

### კადრი



### ანეკდოტები

— აბრამ, რას აკეთებ აქ?
— როგორ თუ რას, ცოლთან ერთად მოვედი თეატრში.
— მერე რატომ არ შემოდიხარ?
— დღეს ჩემი რიგია მანქანის ყარაულობისა.

* * *

— ექიმო, ვერაფრით ვერ გავდივარ ტუალეტში!
— მერე რა პრობლემაა, გარეთ გადი, ბუნებაში, თეატრს მიაკითხე, გამოფენას!



* * *

— დეფოლტი — ეს ის არის, როცა ფული არა გაქვს?
— დეფოლტი — ეს ის არის, როცა ფული გქონდა. როცა ფული არა გაქვს, ეს ჩვეულებრივი ცხოვრებაა.

* * *

არაფერი არ მიანიშნებს უკეთ საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე, როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი მიტინგები.

* * *

ყველაფერი აჟურშია, როცა ყველაფერი ოფშორშია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.